გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N4 (9148) 10 თებერვალი. 2015 წელი. ფასი 50 თეთრი

2

ხალხი მხოლოდ არჩევნების წინ რომ არ უნდა გაახსენდეთ

რეპლიკები "ბედნიერი ერის" ცხოვრებიდან

3

დედას ეჭვი აქვს, რომ მისი შვილი მოკლულია

3

4 კოტე ნაცვლიშვილი "მექანიზატორის" მენეჯერია

"სკოლებში მამაკაცი პედაგოგების ნაკლებობაა"

"გვაჩვენეთ ცუდი!"_ არდატოვებული სხვა გზის გამო

ჩამოგვეყვანათ ყოლოგა ოპოზიციონერები...

5

ძაღლი პატრონს ვერ ცნობს... 4

7

კინო ბნელ ოთახში

10 სამტრედიელი მოსწავლე ცოდნას გადაცემა "ეტალონში" გამოავლენს

ხალხი მხოლოდ არჩევნების წინ რომ არ უნდა მაახსენდეთ

ნათია ნაცვლიშვილი

იმის საილუსტრაციოდ, რომ ხელისუფლებას ხალხი მხოლოდ არჩევნების დროს არ უნდა ახსენდებოდეს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ სხვადასხვა სოფლებში ხალხთან შეხვედრების და პრობლემათა მოსმენის ტრადიცია დაამკვიდრა. ამ მიზნით გამგებელი და მისი მოადგილე მამუკა თავაძე ნაბაკევისა და კულაშის მოსახლეობას შეხვდნენ. პირველი შეხვედრა ღია ცის ქვეშ, ნაბაკევის თემის ადმინისტრაციულ სახლთან შედგა. ქარიანი ამინდის მიუხედავად, საკმაოდ დიდხანს გასტანა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოსახლეობის შეხვედრამ.

გამგებლის წარმომადგენელმა ნაბაკევის თემში, ოთარ წულეისკირმა და ნაბაკევის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვაჟა სტურუამ, ასევე მიმართეს მოსახლეობას და პრობლემათა დასახელება სთხოვეს. ვინაიდან თემში შედის სოფლები (ხუნჯულაური, ჩხენიში, ნაბაკევი, ნინუაკუთხე და კვირიკე), ყველა სოფლის მოსახლეობა შეიკრიბა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, მოხდა პრიორიტეტების გადალაგება, ხელისუფლებამ ისეთი საკითხები წამოსწია წინ, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობას და სოციალურ დაცვას უკავშირდება, ამიტომაც მცირე ხნით გადაიწია გზების დაგებამ და სხვა საკითხებმა. გამგებელმა მოსახლეობას განუმარტა, რომ როცა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს მოაგვარებენ, მერე იზრუნებენ გარე განათებასა და გზებზე. "არაფერი თუ არ გვაქვს გაკეთებული, რა უნდა გავანათოთ?" დასვა მან შეკითხვა. თავის გამოსვლაში არაერთხელ ახსენა ასევე, რომ ხელისუფლება ადამიანებს არ ჰყოფს და არ ანსხვავებს პოლიტიკური ნიშნით, ყველას პრობლემა თანაბრად მიაქვს გულთან. ის მოსახლეობას ასევე სთხოვდა, გამოეთქვათ კრიტიკა, მოეთხოვათ არჩევნების წინა დანაპირების შესრულება, ხელისუფლება კი ძალასა და ღონეს არ დაიშურებს პრობლემათა აღმოსაფხვრელად, რადგან მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მოსახლეობისთვის თვალებში ჩახედვისა არ შერცხვეთ.

ვალერი ფოცხვერია: "ვიცით, რა პრობლემებია, როგორ უჭირს ხალხს, რა მძიმეა თქვენთან შეხვედრა, მაინც გავბედეთ და მოვედით. მძიმე მემკვიდრეობა და გაპარტახებული გარემო დაგვიხვდა, ნულიდან ვიწყებთ ყველაფერს. ვერ დაგპირდებით, რომ სასწაულებს მოვახდენთ, ნეტავი ის დაპირებები აგვასრულებინა, რასაც ბატონი ბიძინა 2 წლის წინ საქართველოს მოსახლეობას დაპპირდა. ჩვენ მხოლოდ 5 თვეა, რაც უფლებამოსილების განხორციელებას შევუდექით, ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრობლემა, რომელიც ვერა და ვერ დავძლიეთ, უმუშევრობაა".

გამგებელმა განმარტა, რომ სამტრედიამ რკინიგზელთა ქალაქის ფუნქცია დაჰკარგა, ჩვენ თვითონ ბიუჯეტის მხოლოდ 20 პროცენტის შევსებას ვახდენთ, დანარჩენი თანხა ცენტრიდან გადმოგვეცემა, ამდენად, თითოეული თეთრი რაციონალურად უნდა გავანაწილოთ და მოვიხმაროთ. პირველ პრიორიტეტად გამგებელმა წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება დაასახელა და უახლოესი დღეების წინ სოფელ ტოლებში წყლით მოსახლეობის მოწამვლის ფაქტი გაიხსენა. მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს, ხელისუფლებამ 620 000 ლარი წყლის სისტემების მოსაწესრიგებლად მიმართა. მეორე პრობლემად სოფლებისა და ქალაქების დატბორვა დასახელდა. როგორც სოფლად, ისე ქალაქად სანიაღვრე არხების გაწმენდის მიზნით საკმაო რაოდენობის თანხა მიიმართება. ვალერი ფოცხვერიას თქმითვე, ზოგიერთ ოპერაციას 100%, ზოგს კი 70%-ით აფინანსებს სახელმწიფო, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქალაქეს ოპერაცია 70%-ით დაუფინანსდა, დარჩენილი 30%-ის ანგარიშსწორებას საავადმყოფოსთან ადგილობრივი ხელისუფლება მოახდენს. პოსტოპერაციულ პერიოდში 150 ლარის მედიკამენტებით მოქალაქეს მუნიციპალიტეტი ასევე დაეხმარება.

ვალერი ფოცხვერია ბაგა-ბაღების პრობლემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ტელეკომპანია "რუსთავი 2-ით" ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე ბაღის პრობლემები არასწორად გაშუქდა, ეს პრობლემები ბაღებში დღევანდელ ხელისუფლებას არ დაუგროვებია, ისინი წლობით დაგროვდა, ამდენად, ხელისუფლებამ მათ აღმოსაფხვრელად 300 000 ლარი გამოჰყო. "ერთი რამ იცოდეთ, უკან არ წავალთ, წინ წავალთ!" _ ამ სიტყვებით დაასრულა საუბარი ვალერი ფოცხვერიამ და მოსახლეობის პრობლემებიც მოისმინა. ნაბაკევის კლუბი ავარიულ მდგომარეობაშია, განაცხადა ერთ-ერთმა მოქალაქემ. 84 წლის ხუნჯულაურელმა ამირან ნინუამ სასაფლაოსთან დაყრილ ნაგავზე და ანტისანიტარიაზე ისაუბრა, გაზის გაყვანის პროცესის გაჭიანურებაც გააპროტესტეს. "ამ 5 სოფლიდან ნაბაკევში და ხუნჯულაურში ყველაზე დიდი პრობლემებია. არ არსებობს ქუჩა, სადაც შეყვანილი არ არის გაზი. ერთადერთია მესამე ქუჩა ნაბაკევში, სადაც ე. წ. "ამომყვანები" არ გაკეთებულა. ჩვენ მოველაპარაკეთ გაზის კომპანიის წარმომადგენლებს, ჩვენს დეპუტატთან ერთად, მოგეხსენებათ "სოკარი", როგორი "ჩქარი" ტემპით მუშაობს. აუცილებლად მოვალთ თქვენთან ახალი წლის შემდეგო, დაგვიპრდნენ, დღემდე მოსვენებას არ ვაძლევთ, მაგრამ არ მოსულან. _ განაცხადა ბატონმა ოთარ წულეისკირმა. ბატონმა ოთარმა მოსახლეობას მოუწოდა, ვინც აგრო-ბარათი დაჰკარგა, მიაკითხოს "ლიბერთი" ბანკს, რათა დროულად მოხდეს მისი განახლება. "ვინც თავისი ხარჯით მოხნავს ფართობს, მას სახელმწიფო 140 ლარს დაურიცხავს ბარათზე, ხოლო ვისაც 2500 მეტრამდე აქვს მიწა, მას 50 ლარიანი ბარათი გადაეცემა". _ განმარტა ბატონმა ოთარმა.

მძიმე მდგომარეობაშია ნაბაკევის ბაგა-ბაღი. ეს საუკუნოვანი შენობა სამუზეუმო დატვირთვას ნამდვილად ატარებს, მაგრამ ჩვენი მომავალი თაობის აღსაზრდელად ეს შენობა ნამდვილად არ გამოდგება. "დღესდღეობით აქ 60 ბავშვია, 20-ს უარი ვუთხარით მიღებაზე". _ უხსნის ხელისუფლების წარმომადგენლებს მმართველი, ეკა სანაძე და მადლობას უხდის მათთვის გადაცემული საჩუქრების გამო. ხელისუფლებამ ბაგა-ბაღს მაცივარი გადასცა, გაზქურა და მილები, რათა შენობაში წყალი შეიყვანონ.

მომდევნო შეხვედრის ადგილი ჩხენიშის სკოლა იყო (დირექტორი სვეტლანა ტყვაცირია), სადაც 100 ბავშვი სწავლობს.

ჩხენიშელებმა მთავარ პრობლემად უვარგისი გზები დასახელეს. აქაც უკმაყოფილოა მოსახლეობა გაზის საშუშაოების შეჩერებით. ხელისუფლების მისამართით მადლობებიც გაისმა იმ მოქალაქეთაგან, ვისაც გაზი ოჯახში აქვს შეყვანილი და თვეში 5 ლარს იხდის გაზის გადასახადს. ჩხენიშის მცხოვრებმა ჯემალ ხარებავამ ხელისუფალთ სთხოვა, ვიდრე დადგენილ ვადაში გზის კილომეტრ-ნახევრიანი მონაკვეთის დაგება მოხდება, იქნებ გამოყოთ თანხა და მისი მოხრეშვა-მოშანდაგება მაინც შეძლოთო. ამ თხოვნის ასრულებას, ისევე როგორც სანიაღვრე არხების გაწმენდას ხელისუფლება სოფლელებს დაპპირდა. ჩხენიშელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გაწვიმდება თუ არა, მოსახლეობის ეზოებში წყალი დგება.

დაბა კულაშში გამგებლის წარმომადგენელი ვლადიმერ სოხანეიშვილი თავის სამუშაო კაბინეტში შეგვიძღვა კულაშელთა პრობლემების მოსასმენად. პოლიტიკური სითამამე ამ დაბის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს. გააკრიტიკეს გაზის კომპანია, რომელმაც სამუშაოები არ დაასრულა, არხების გაწმენდის თემა აქაც ძალიან აქტუალურია. გამგებელმა მოსახლეობას აუწყა, რომ თანხები გამოიყო როგორც მუსიკალური სკოლის, ისე ბაგა-ბაღის რეაბილიტაციისთვის. "მუნიციპალიტეტში მოუწესრიგებელია კანალიზაციის სისტემა. გეტყვით, რომ ასფალტი დააგეს კორპუსების ეზოებში ისე, რომ ქვევით საკანალიზაციო სისტემა უვარგისია. მის მოსაწესრიგებლად დიდი თანხაა საჭირო, გადავწყვიტეთ, ვითანამშრომლოთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ეს საკითხი ამ გზით მოვაგვაროთ". _ აღნიშნა გამგებელმა. ახალგაზრდობის დაუსაქმებლობის პრობლემას გაუსვა ხაზი თავის საუბარში "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა ბექა მიქაძემ და განვლილი ატესტაციის პროცესი გააკრიტიკა. მისი თქმით, მისი მეგობარი საგამოცდო კომისიამ, გამოცდაზე იმიტომ არ დაუშვა, რომ აპლიკაციის შევსებისას ქართული ენის ცოდნა არ მიუთითა.

საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

30 იანვარს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა, განიხილა საკითხი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ წარუდგინა.

საკრებულომ დაადგინა:

დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ზღვრული ოდენობა.

ამდენად, საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების, საკრებულოს დავალებების შესრულების, ამომრჩეველთან შეხვედრისა და საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 600 ლარით.

მცირეხნიანი პოლემიკის შემდეგ საკრებულომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადგენილება მიიღო, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტში მასშტაბური გამორთვები აღარ იქნება

4 თებერვალს მუნიციპალიტეტის გამგებელი სააქტო დარბაზში სამსახურების უფროსებსა და ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულ გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, მელაურის თემის მაჟორიტარი დეპუტატი ხვიჩა ფანცულაია, ნაბაკევის თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვაჟა სტურუა. ასევე მოწვეულები ჰყავდათ "ენერგო-პრო ჯორჯიას" წარმომადგენელი, სამტრედიის ფილიალის მთავარი ინჟინერი ალეკო გენძეხაძე.

"ვინაიდან ოთხშაბათის ტრადიციული თათბირი ღია კარის პრინციპით ტარდება, შეზღუდულები არც საკრებულოს სხვა დანარჩენი წევრები არიან. ამდენად, ვინც მუნციპალიტეტის გამგეობაში ტრადიციულ თათბირზე დასწრებას ჩათვლის აუცილებლად, მომავალში კარი მათთვისაც ღია იქნება და საინტერესო თემებს ერთად გავივლით". _ განაცხადა გამგებლის პირველმა მოადგილემ.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების შესახებ. კერძოდ, საქმე ეხება 24 იანვარს ქალაქის ტერიტორიაზე "სამტრედია 1-ში" გაჩენილ ხანძარს, რომლის შედეგადაც მოსახლეობას ამ დღეებში ელექტროენერგია შეზღუდულად მიეწოდებოდა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ 4 თებერვლის მდგომარეობით ძირითადი სახის სამუშაოები დასრულებულია, რაც აღარ გამოიწვევს სამტრედიაში ელექტრო-ენერგიის მასშტაბურ გამორთვებს.

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე: "ჩვენ თხოვნით მივმართეთ "ენერგო-პრო ჯორჯიას" წარმომადგენელს, რომ დაზიანებებისა და მათი აღმოფხვრის ვზების მოძიების მიზნით, მეტი კომუნიკაციები იყოს კომპანიისა და გამგებლის წარმომადგენლობას შორის".

ნინო ნანიტაშვილი

თითოეული კილომეტრზე შესრულებული სამუშაოს შეფასება

სამტრედიის გაღმა ზონის სოფლებში საქართველოს გაზის ტრანსპორტის კომპანიის მიერ ტენდერის გამოცხადების საფუძველზე 7 ორგანიზაცია გაზიფიცირების სამუშაოებს აწარმოებს. გაზის მილების საერთო სიგრძე 225 კილომეტრია. ცნობისათვის, სამუშაოები ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით მიმდინარეობს და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ოთხშაბათის ტრადიციულ თათბირზე გამგებლის პირველმა მოადგილემ, დავით ბახტაძემ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს დავთი კვერხელიძესთან თანამშრომლობა დაავალა. გამგეობის შესყიდვების, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ზედამხედველობის საკითხებში უშუალოდ არის ჩართული გაღმა ზონაში მშენებელი ორგანიზაციების მიერ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობაზე.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ თითოეული ორგანიზაცია და მათი შესაბამისი ხელმძღვანელი, გაზიფიცირების სამუშაოების დასრულების შემდეგ, ერთობლივად თვითმმართველობის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მოახდენენ კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების დათვალიერებას, რაც მოიცავს ყველა სოფელში განხორციელებული თითოეული კილომეტრის სამუშაოს შეფასებას.

დავით კვერხელიძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტი: "ორგანიზაციები აწარმოებენ გაზიფიცირების სამუშაოებს, ისინი ვალდებულები არიან, სამუშაოების დამთავრების შემდეგ, გზების ინფრასტრუქტურა, იქ, სადაც მიმდინარეობდა გაზის მილების ჩაწყობა, მოიყვანონ საწყის მდგომარეობაში.

გაღმა ზონას აქვს, რა თქმა უნდა, თავისი სპეციფიკა, არის ვიწრო გზა. წვიმების შედეგად მოსალოდნელია ღვარცოფი, ამოღებული გრუნტიდან ხდება მიწის გადარეცხვა, რომელიც იქ მცხოვრებ მოსახლეობას გარკვეული დროით გადაადგილების პრობლემას უქმნის, მაგრამ მოსახლეობაც გაგებით უნდა შეხვდეს და ხვდება კიდეც ამ ფაქტს, რადგან საბოლოო ჯამში საშვილიშვილო საქმე გაკეთდება, რასაც სოფლის გაზიფიცირება ჰქვია და რასაც თითქმის სოფლის ყველა მკვიდრი ითხოვს".

ოთხშაბათის ტრადიციულ თათბირზე რწმენებულები დავთი კვერხელიძესთან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ნინო ნანიტაშვილი

რეპლიკები "ბედნიერი ერის" ცხოვრებიდან

თეა ბაბუნაშვილი

გამგეობამ არ ქნა, არ დამეხმარა

ოთხმოცს ერთი წელი მიკლიაო, იმ ქალბატონმა, წელში მოხრილი ნელი ნაბიჯით რომ გამოვიდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის შენობიდან ახმაურებული ქუჩის გადასაკვეთად. ქუჩაზე გადასვლაში დავეხმარეთ და გავარკვიეთ, სოციალური დახმარება მეორე თვეა არ მიუღია. ორი წელია სახლი დაენგრა. მარტოხელა მოხუცმა დახმარებისთვის გამგეობას მიმართა, მაგრამ "გამგეობამ არ ქნა, არაო, არ მომეხმარა. სოციალურსთვის ახლა საბუთებს თავიდან გადავაგზავნითო, დამპირდნენ. შენც უთხარი რომ, მომეხმარონ". _ სწუხდა შეწყვეტილ სოციალურ დახმარებაზე, რომელიც რატომ შეუწყვიტეს, თავად ის კი არა, საქმეში ჩახედული ადამიანიც ვერ გაიგებს. ქულას ისევ გასაიდუმლოებულად თვლის "მისი უდიდებულესობა", პროგრამა, რომელზეც არაერთი ადამიანის სოციალური დახმარებაა დამოკიდებული.

სანამ ბატონმა გიგანტი ბიბილეიშვილმა თანასოფლელ ლამარა კახაძეს დიდი ჯიხაიშისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსში მგზავრობის საფასური გადაუხადა და ასვლაში დაეხმარა, კიდევ ერთხელ გვთხოვა ქალბატონმა, ოთხმოცს ერთი წელი რომ აკლია, "არ ვიცი რატომ გამიჩერენ, კი ქნენ ასე და... უთხარი შენ, იქნება დამეხმარონ..."

მრცხვენია, მე ხალხი მიცნობდა სამტრედიაში...

არაერთი წელი იმუშავა რაიონის ერთ-ერთ დიდ საწარმოში, პატიოსანი, უმწიკვლო მუშაკის რეპუტაციით. კარგა ხანია იმ დროს კომუნისტების ჰქვია და ავადსახსენებელია. ოჯახში, რომელიც შრომას არასდროს თაკილობდა, დღეს ერთადერთია პენსიას რომ იღებს. სულ ეს არის მათი შემოსავალი. წუხს, კამათობენო ვაჟიშვილი და რძალი, მეორე

ბავშვს ელოდებიან დღე-დღეზე. ცოლი ქმარს სამუშაოს მოძებნას თხოვს. "თავს მოვიკლავ, დედა!" _ უთქვამს ვაჟს, რომელიც სულაც არ გაურბის შრომას, მაგრამ... "გზის მშენებლობაზე იმუშავა და რამდენიმე თვის ხელფასი არც მისცეს. ვერაფერი მოძებნა სხვა. სტაბილურ სამსახურზე საუბარიც არაა. რა ვქნა, რძალიც რომ მართალია! სულ არ ვამტყუნებ..." _ ამბობს ის. თურქეთში გადადიოდა სამუშაოდ, ჩავარდნილ მოხუცის უვლიდა. იქ დიაბეტით დაავადდა ღამეების თენებასა და არაადამიანურ შრომაში. წამალი კარგა ხანია გამოუწერა ექიმმა, მაგრამ ყიდვას ფული უნდა, რომ არ აქვს ის ფული! "ოჯახის მოყვანას" წლები შეალია. არასდროს არავის ჩამორჩებოდნენ, პირიქით. წვალებით შეძენილი მანქანის გამო სოციალურად დაუცველთა სიაში, რა თქმა უნდა, ვერ მოხვდნენ _ ასეაო "პატივცემულმა ფორმულამ". ახლა იმ მანქანასაც ყიდიან, რადგან მასაც "შენახვა" უნდა.

მთელი ღამე ვფიქრობდი, რა მექნაო, _ გვითხრა. მეტი ვერაფერი მოიფიქრა და "ჟურნალისტებთან მოვედი იქნებ თქვენ შეძლოთ ჩემი დახმარება, თუმცა, არ მინდა გაზეთით მთელმა სამტრედიამ გაიგოს, ვინ ვარ, მიცნობენ მე ამ ქალაქში!"

ვერც ჩვენ დავეხმარეთ!..

14 წლის გოგონა ბიძამ გააუპატიურა

2 წლის განმავლობაში ბიძას 14 წლის დისშვილთან სექსუალური კავშირი ჰქონდა. ამის შესახებ ბავშვმა სკოლის მანდატურს მოუყვა. მანამდე კი იმიტომ ვერ გაამხილა, რომ ბიძა ოჯახის წევრების დახოცვით ემუქრებოდა. ბრალდებული 50 წლამდე მამაკაცი დაკავებულია. იგი მანამდე სამართალში იყო მიცემული და ციხე ამნისტიის საფუძველზე დატოვა. როგორც ოჯახის ბებია აცხადებს, სიმართლეს არ შეეფერება 14 წლის გოგონას ფეხმძიმობის ვერსია. ოჯახი ჭანტურიას ქუჩაზე მდგმურად ცხოვრობდა. მეზობლები მათ გასახლებას მოითხოვენ.

დედას ეჭვი აქვს, რომ მისი შვილი მოკლულია

ნინო ნანიტაშვილი

19 იანვარს დილით, დაახლოებით 9-ის ნახევარზე სოფელ გორმაღლის მოსახლეობამ შემზარავი ფაქტის შესახებ შეიტყო. ბერძნისწყაროს ტერიტორიის დასაწყისში, კერძოდ, ეგრეთ წოდებული ტორღუას კუთხის გზაზე ეკლესიისაკენ მიმავალმა სოფლის მკვიდრმა ზვიად ზაქარეიშვილმა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი შენიშნა. ძნელი იყო გარდაცვლილის ამოცნობა, ვინაიდან იგი მთლიანად ტალახში იყო ამოსვრილი.

ზვიად ზაქარეიშვილი იხსენებს, რომ რამდენჯერმე შეეცადა გვამთან მიახლოებას, მაგრამ დაბნეულობისაგან ვერ მოახერხა. იძულებული გახდა, ახლო მცხოვრები მოსახლეობისთვის მიემართა ვიდრე მალხაზ დევაძე შეშინებული და დაბნეული თანასოფლელისათვის დახმარების აღმოჩენას შეძლებდა, გარდაცვლილთან უკვე თავი მოეყარა ქალაქისაკენ მიმავალ სოფლის მოსახლეობას. მათ იცნეს ახალგაზრდა მამაკაცი, იგი ზვიად შანიძე აღმოჩნდა, რომელიც სახლიდან წინა დღით, დაახლოებით შუადღის საათებში იყო გასული და იმ ღამით ოჯახში აღარ დაბრუნებულა.

ხათუნა ლებანიძეს, სოფელ გორმაღალში გამგებლის წარმომადგენელს უბედური შემთხვევის შესახებ იმავე დღეს შეატყობინეს. მისთვის ცნობილი გახდა, რომ: "ზვიად შანიძე იპოვეს გარდაცვლილი, გაყინული. იგი დაღუპვამდე, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის თქმის საბაბს გვაძლევს იმავე სოფლის მკვიდრის მონათხრობი. ზვიად შანიძეს მარადი ძნელაძესთან და სხვა მეგობრებთან ერთად 18 იანვარს ელექტროგაყვანილობა გაუკეთებია და იქ დაულევია. ამის შემდეგ წამოსულა სახლში და როგორც გვამის დათვალიერების შემდეგ დაასკვნეს, ზვიადი გადავარდნილია მცირე ხრამში, საიდანაც შეეცადა ამოსვლას, ვერ შეძლო და იქ გაიყინა. მართალია, 18 იანვარი მზიანი იყო, ერთადერთი ღამე გახლდათ, როცა სოფელში ძლიერი ყინვა დაფიქსირდა. ამდენად, მოსახლეობამ გამოიტანა დასკვნა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ზვიად შანიძემ გზა ვეღარ გაიკვლია და გაიყინა".

შემთხვევის ადგილზე მოსახლეობის მიერ გამოძახებული იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შეტყობინება მოხდა შს სამინისტროს სამტრედიის რაიონულ განყოფილებაში. პოლიციამ შემთხვევის ადგილი დაათვალიერა, დაჰკითხა იქ მყოფი მოსახლეობა. ოჯახმა ექსპერტს გვამის გაკვეთის უფლება არ მისცა, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

43 წლის ზვიად შანიძე 5 დღის შემდეგ დაკრძალეს. თუმცა ხათუნა ლებანიძეს გარდაცვლილის დედა 30 იანვარს დაუკავშირდა და განუცხადა, რომ მას უკვე აქვს სერიოზული ეჭვი, მისი შვილი მოკლულია და პოლიციას საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა: "სატელეფონო ზარის შემდეგ მოვინახულე გარდაცვლილის დედა. იგი რომელიმე პიროვნებას ხელს არ ადებს, თუმცა ქალბატონი თამარის ეჭვები გამოიწვია დაკითხვის შედეგად მიღებულმა სხვადასხვა ვერსიებმა. დედა მზად არის, ექსპერტს ნება მისცეს მიცვალებულს ჩაუტარონ ექსგუმაცია".

და ეს იმიტომ, რომ ცენტრმა დააგვიანა

თეა ბაბუნაშვილი

საშობაო საჩუქრები ცოტა ხნის წინ მიიღეს "სახლი თანადგომას" ბენეფიციარმა სოციალურად დაუცველებმა და ეს იმიტომ, რომ ტენდერმა დააგვიანა. კი არ დააგვიანა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გამო რამდენჯერმე ჩაიშალა. "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", _ ამბობდნენ სოციალურად დაუცველები და მადლობას უხდიდნენ გამგებლის მოადგილეს, ლიზა კრავეიშვილს, კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს და "სახლი თანადგომას" ხელმძღვანელობას.

როგორც "სახლი თანადგომას" დირექტორი მზევინარ ბოხუა ამბობს, სასადილოში ყოველდღიურად 135 სოციალურად დაუცველი სადილობს. "ბოლო პერიოდში კვების მენიუ შედარებით მრავალფეროვანი გახდა. დაემატა ხორცეული, თევზი. ეს საჩუქრები საშობაოდ უნდა გადაგვეცა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. მათ კი, ვინც აქ ვერ მოდის, ამანათი სახლში გავუგზავნეთ სადილთან ერთად". ამანათები "სახლი თანადგომას" დაფინანსებაში განსაზღვრული თანხით შეიძინეს.

"მოხუცები ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს. სასურველია, არავის სჭირდებოდეს ამგვარი დაწესებულებების დახმარება, მაგრამ ცხოვრებაში ასეც ხდება. დაგეგმილი გვქონდა საშობაოდ გადაგვეცა ეს ამანათები, მაგრამ ობიექტური მიზეზები აქვს დაგვიანებას. ღმერთმა ყოველი დღე და წელი ჯანმრთელი და ბედნიერი ამყოფოს ისინი". _ განაცხადა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა.

სასადილოს მენეჯერი შოთა სტურუა აღნიშნავს, რომ მოიმატა კვირაში ხორციანი სადილის რაოდენობამ. განახლდა მენიუ.

სახელდახელო კონცერტიც გაიმართა იმ დღეს მათთვის, ვინც წუთისოფლის "თაფლში გარეული მწარე ნაღველის" გამო აქაურ სუფრას უზის შრომაში განვლილი წლების შემდეგ. ინვალიდი შვილის დედა, ნანა თოფურია კი ამბობდა, "ეს სასადილო რომ არ გვქონდეს, შვილი მშიერი მომიკვდებოდა. მართლა არ ვიცი, რა მეშველებოდა. დაავადების გამო ჩემი გოგონა დანაყრებას ვერ იგებს და მე ჩემს წილს მას ვაჭშევ. სახლი, რომელიც სხვამ დამითმო, ლამისაა თავზე ჩამომენგრეს. მეუღლე დღიური სამუშაოს იმედზეა. ძალიან მიჭირს და აქაურობა მართლა იმედია ჩემთვის".

დაგვიანებულმა საჩუქრებმა "სახლი თანადგომას" თანადგომით სოციალურად დაუცველებს კიდევ ერთხელ აგრძნობინა, რომ მარტონი არ არიან გაჭირვების პირისპირ.

ორგანული სასუქების პრეზენტაცია

ნათია ნაცვლიშვილი

ლიტვური კომპანიის "ვილანუს ბალტიკი" (ხელმძღვანელი მარიუს ბუიოკასი) დისტრიბუტორები და ესპანური სასუქების მწარმოებელი კომპანია "აგრო-ტექნის" წარმომადგენელი და გაყიდვების მენეჯერი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დენის როდრიგესი, მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში ფერმერებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეკრებილთ მათი კომპანიის მიერ წარმოებული თხევადი ორგანული სასუქების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ კომპანიის წარმომადგენლები იმერეთის რეგიონში მერაბ ბარათაშვილი და მამუკა ლომსიანიძე.

კომპანიის ტექნიკური მენეჯერი საქართველოში, მანუჩარ ეხვაია:

"ჩვენი მიზანია, ფერმერებს გავაცნოთ ორგანული სასუქები, რათა მათ მოიწიონ ბიოპროდუქცია, რომელიც არ იქნება საკვებად საშიში. ორგანული სასუქების უპირატესობა ის არის, რომ არის უსაფრთხო, და ჯდება ბევრად იაფი, ვიდრე უკვე დაავადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვლა ფუნგიციდებით და სხვა საშუალებებით.

ჩვენ წარმოვადგინეთ ის სასუქები, რომელიც ასევე დაეხმარება ფერმერს სიმინდის მოყვანაში, რათა მან შეძლოს, მიიღოს სიმინდის მეტი მოსავალი ნაკლებ ტერიტორიაზე. ეს ორგანული სასუქები გამოიყენება ბოსტნეულ კულტურებში, ბაღჩეულში, ხეხილის, ვაზის მოვლაში".

ამ პროდუქციის წარმდგენთა თქმით, ეს პროდუქცია დარეგისტრირდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში პესტიციდებისა და სასუქების ნუსხაში გასული წლის აგვისტოში. გასვლები ჰქონდათ რეგიონებში, ამ პროდუქციამ ტესტირება გაიარა ბაღდათში, გეგუთის სასათბურე მეურნეობაში, სამეგრელოს რეგიონში (თხილზე, ფეიხოაზე, კივზე), ურეკში მანდარინზე, აჭარის რეგიონში, ახლა აქტიური მუშაობა მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში თხილზე, სიმინდზე, აღმოსავლეთ საქართველოში ყურძენზე.

როგორც დენის როდრიგესმა აღნიშნა, მათი პროდუქცია 50 ქვეყანაშია იმპორტირებული, ვინაიდან ქართულ ბაზარზე ორგანული სასუქების დიდი არჩევანია, ეცდებიან დაბალი ფასებით მათ ჯანსაღი კონკურენცია გაუწიონ სხვა კომპანიებს.

სამტრედიაში ამ კომპანიის წარმომადგენელთა შეხვედრებს ორგანიზება გაუკეთა იმერეთის მშენებელთა ბიზნეს ასოციაციის სამტრედიის დეპარტამენტის დირექტორმა, თენგიზ ახობაძემ. ბატონი თენგიზი იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში აპირებს სტუმრების ვიზიტების ორგანიზებას, პირველი ვიზიტი კი სამტრედიაში განხორციელდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, მამუკა კვანტალიანი:

"ჩვენთან საქართველოში საკმაოდ ბევრი ფირმა შემოდის, ჩვენ ვცდილობთ, ისეთი კომპანია ავარჩიოთ, რომელიც ავტორიტეტულია. იშვიათია, როცა ფირმის წარმომადგენელი პირადად აკეთებს პრეზენტაციას. ამ პროდუქციის რეალიზაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთერთ მაღაზიაში მოხდება. დღეს აქ იმყოფებიან ის ადამიანები, ვინც უშუალოდ მემცენარეობით არიან დაკავებულნი. ასევე არიან ამა თუ იმ თემში გამგებლის წარმომადგენლები. ვნახოთ, რა ინტერესს გამოიჩენენ ამ პრეზენტაციის შემდეგ დღევანდელი შეხვედრის დამსწრენი".

თუ გაზაფხულზე გავირჯებით...

კალენდარული გაზაფხული მალე მოვა, თუმცა, თბილმა ამინდებმა ზამთარშიც გაგვანებივრა. გაგვანებივრა და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც, ასე თუ ისე, დაჩქარდა.

ჩვენი საუბარი სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთან, ბატონ მიხეილ სხვიტარიძესთან იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მისგან დაწვრილებით, პროფესიულ დონეზე შეგვეტყო, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ ნიადაგი, როგორ ვთესოთ, რა სად და როდის დავრგოთ და ა. შ.

– წლევანდელი თბილი ზამთარი საშუალებას გვაძლევს 20 თებერვლიდან დავრგოთ თხილის ნერგები. რაც შეეხება უკვე ზრდასრულ თხილის ნერგებს, აუცილებელია, ისინი გავათავისუფლოთ ახალი ნაყარისაგან. რეკომენდირებულია, მოხდეს ყველა კულტურული მცენარის შემობარვა, გასხვლა გამხმარი ტოტებისაგან და გათავისუფლება მუმიფიცირებული ნაყოფისაგან. – გვეუბნება ბატონი მიხეილი.

ბოლო ხანებში სამტრედიაში ადრინდელისაგან განსხვავებით, გასაგები მიზეზების გამო, კარტოფილის კულტურას თესავენ, სპეციალისტი გვირჩევს, რომ უხვი, ჯანსაღი მოსავლის მისაღებად აუცილებელია მოხდეს თესლის თესვისწინა შეწამვლა "პრესტიჟის" ხსნარით.

რაც შეეხება მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მათი შეძენა სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩაზე არსებულ სპეციალიზირებულ მაღაზიაშია შესაძლებელი.

თებერვლის ბოლოდან მცენარეების შეთეთრება კირითა და შაბიამნის 3% ხსნარით, საადრეო მარწყვის დასარგავ ნიადაგში გადამწვარი ნაკელის შეტანა, საყანე ფართობების ხვნა-თესვისთვის მომზადება და მთელი რიგი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროული და ხარისხიანად ჩატარება, ბატონი მიხეილის თქმით, უხვი და ჯანსაღი მოსავლის წინაპირობაა. ამდენად, ბრძენი წინაპრების შეგონებისა არ იყოს, თუ გაზაფხულზე გავირჯებით, შემოდგომა და ზამთარიც ბარაქიანი იქნება.

ლევან გაბეჩავა

კოტე ნაცვლიშვილი "მექანიზატორის" მენეჯერია

ამ დღეებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა შპს "მექანიზატორის" სამტრედიის სერვისცენტრში. მიმდინარე წლის 22 იანვარს საქართველოს სახელმწიფო "მექანიზატორის" გენერალური დირექტორის, ზვიად ჩხაიძის ბრძანების საფუძველზე შპს "მექანიზატორის" სამტრედიის სერვისცენტრის მენეჯერად კოტე ნაცვლიშვილი დაინიშნა. მანამდე იქ ხელმძღვანელის მოვალეობას გიორგი ბიბიჩაძე ასრულებდა.

კოტე ნაცვლიშვილი 2014 წლის 14 ივლისიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატია ბაშის თემიდან. იმავდროულად გახლავთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებისა და ფრაქცია "მაჟორიტარის" წევრი. შპს "მექანიზატორის" სამტრედიის ფილიალის მენეჯერად რეკომენდაცია კოტე ნაცვლიშვილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაუწია.

ახალ თანამდებობასთან ერთად კოტე ნაცვლიშვილი წარმომადგენლობით ორგანოში ძველ პოზიციას კვლავ შეინარჩუნებს.

ნინო ნანიტაშვილი

ძაღლი პატრონს ვერ ცნობს...

ან როგორ იცნობს, როცა პატრონმა უარი განაცხადა ოთხფეხა მეგობრებზე და ისინი სახლიდან შორს გააგდო.

მაწანწალა ძაღლები, მოთარეშე პირუტყვი მეტ-ნაკლებად მთელ რიგ ქალაქებში შესამჩნევი გახდა. ამ მხრივ არც სამტრედიაა გამონაკლისი. თუ გომში მგელმა მოქალაქე დიდიას ექვსი სული პირუტყვი სიცოცხლეს გამოასალმა, ქალაქში ძაღლების მიერ გამოვლენილი აგრესია ჯერ არ დაფიქსირებულა, თუმცა, მაინც არასასურველია, როცა ძაღლები ქალაქის ცენტრალურ ადგილებში თავს არხეინად გრძნობენ.

მართალია, გეზი ევროპისაკენ ავიღეთ და ამაში კარგის მეტს აშკარად ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ევროპელებს მარტო ძაღლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით თუ არ დავემსგავსებით, კარგი იქნება.

და მაინც რას ნიშნავს ძაღლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება? იმას, რომ ჩვენთვის ესოდენ ახლობელ ევროპაში მილიარდერები ოთხფეხა მეგობრებს ქონებასაც კი უტოვებენ, პასპორტებიც გააჩნიათ ძაღლებს და მათი დამცველი ორგანიზაციებიც აქტიურად, კანონის მთელი მოთხოვნით იცავენ მათ. თუმცა, ევროპულ ქვეყნებში ადამიანთა უფლებებიც არაა უგულებელყოფილი, პირიქით...

ასე რომ, თუ მტრედად ნათლულ ჩვენ ქალაქში მაწანწალა ძაღლების თარეში აღკვეთილი იქნება, მისასალმებელია, თუარადა შეიძლება ბევრი ჩვენგანი გახდეს მათი აგრესიის მსხვერპლი. მაშინ კი, მაშინ არანაირი მნიშვნელობა არ ექნება ნამდვილად მგელი შეგვჭამს, თუ მგლისფერი ძაღლი.

ლევან გაბეჩავა

"გვაჩვენეთ ცუდი!"_ არდაფოვებული სხვა გზის გამო

წამოგიოვნთ ყოლეგა ოპოზიციონერები...

თეა ბაბუნაშვილი

იმ სატელევიზიო სიუჟეტის შემდეგ, კულაშის საბავშვო ბაღით საქართველომ რომ გაიცნო სამტრედიის სკოლამდელი დაწესებულებები, არც ისე დიდი დროა გასული. თუმცა, ხმაური მათ ირგვლივ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, საკვებად უვარგისი ხორცის ძმარში გავლებაზე რომ ალაპარაკდა პოზიცია-ოპოზიცია. ამჯერად კი, რამდენიმე ჩაშლილი ტენდერის შემდეგ, სასწავლო პროცესი 16 თებერვალს განახლდება ბაგა-ბაღებში. მანამდე კი მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ ქალაქის ყველა საბავშვო ბაღი მოიარა, გამგებლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცუდის სანახავად.

ცუდის სანახავად იმიტომ, რომ კარგის კეთების დაწყებას სწორედ აქედან გეგმავს რაიონის ხელისუფლება. "თავიდანვე, მოსვლის დღიდანვე უნდა აღწერილიყო, რა ქონება ჩაიბარა ახლად მოსულმა ხელისუფლებამ და რიგი გაუგებრობებისა აღარ იქნებოდა, შემდგომში განვითარებულ მოვლენებს რომ მოჰყვა. რადგან დღის წესრიგში დადგა ბაღების რეაბილიტაციის საკითხი, ჯერ ვნახოთ, რა დაგვხვდა, შემდეგ კი რას გავაკეთებთ."_ კულტურის სამსახურის უფროსის, ნატალია მანჯგალაძის ამ კომენტარით დაიწყო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების დათვალიერება "ცუდის სანახავად."

რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით, ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ცხრავე საბავშო ბაღში სახურავების, სველი წერტილების, სამზარეულოების, იატაკის კაპიტალური შეკეთება დაიწყება. საჭიროების შემთხვევაში კარ-ფანჯარაც შეიცვლება კოსმეტიკურ სამუშაოებთან ერთად. ამისთვის კი 300 ათასი ლარია განსაზღვრული. საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია რამდენიმე დღეში უკვე ცნობილი იქნება. ერთი თვის ვადაში საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, კვლავ ტენდერი გამოავლენს მშენებელ ორგანიზაციებს და სარემონტო სამუშაოებიც დაიწყება.

სიტუაცია ყველა საბავშვო ბაღში მეტ-ნაკლებად ერთნაირი აღმოჩნდა _ ბევრი პრობლემა გამოსწორების აუცილებლობით! შესაკეთებელი სველი წერტილები, სამზარეულოები, ჭერი, მოსაწესრიგებელი გათბობისა და წყალგაყვანილობის სისტემები დაუყოვნებლივ აღსადგენია. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სისუფთავე და მზრუნველობა მოცემულ პირობებში არც ერთ საბავშვო ბაღს არ აკლდა. "ჩვენთან ბავშვები იძინებენ" კი უკვე ფრთიანი ფრაზაა ამ სისტემაში. სიტუაციაში გასარკვევად ყველგან მმართველები და სხვა პერსონალი დახვდა სტუმრებს.

ადგილზე დათვალიერებისას გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა აღშფოთება ვერ დამალა და საკრებულოს წარმომადგენლებს მიმართა: "წამოგეყვანათ თქვენი კოლეგები ოპოზიციიდან და გაგვცენ პასუხი, რა გააკეთეს, რაში დაირიგეს პრემიები." ჟურნალისტებისთვის განაცხადა: "გაკვირვებული და გაოცებული ვარ. პატრონის და მეურნის ხელი არ ეტყობა ამ შენობებს. გვინდა, ეს სიტუაციები გამოვასწოროთ და ვნახოთ, რა გამოგვივა." და იქვე საუბარი ბაგა-ბაღების პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების აუცილებლობასაც შეეხო: "მიმდინარეობს მუშაობა კადრების ირგვლივ. დამუშავების პროცესშია შესაბამისი დოკუმენტაცია. ყველა თანამშრომელი თავისი პროფესიით უნდა იყოს დასაქმებული, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ბავშვებთან გვაქვს საქმე. თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ თუ 5 წელი აქვს ნამუშევარი საჭირო ცენზის არმქონეს, შესაბამისი კვალიფიკაცია თავისთავად ენიჭება. ნაკლები სტაჟის მქონე არასპეციალისტები, ალბათ, შეიცვლებიან. ჯერჯერობით, მიდგომა ასეთია." იგივე თემაზე გაკეთა აქცენტი საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ: "იდეალური მდგომარეობა სამტრედიაში კი არაა, თბილისის საბავშვო ბაღებშიც არაა, მაგრამ ის რაც ვნახეთ, ნამდვილად არ არის მოსათმენი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა მშობლები თავად ვიხდიდით კვების ფულს და ბაღები უფასო არ იყო, ამ დაწესებულებებში პროფესიონალები მუშაობდნენ, იცოდნენ თავიანთი საქმე. ძალიან ცუდი მემკვიდრეობა მივიღეთ. აქ, ამ დაწესებულებებში იწყება ბავშვის ცნობიერების, კულტურის ჩამოყალიბება. კომუნისტების დროს იყო პუშკინისა და გოგებაშვილის ინსტიტუტები, რომლებიც კადრებს ზრდიდნენ. ჯერ კიდევ გვყავს ეს კადრები, ოღონდ, უმრავლესობა დაუსაქმებელი. სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ამ საქმისგან სრულიად შორს მდგომი სპეციალისტებია დასაქმებული. რეფორმა საჭიროა და ვინმემ მისი განხორციელება უნდა აიღოს საკუთარ თავზე. მართალია, მტკივნეული იქნება, მაგრამ რეფორმა ყოველთვის მტკივნეულია!"

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე საკრებულოში, გოგი ლეჟავა, ბაგა-ბაღებში არსებულ ინფრასტრუქტურას სავალალოს უწოდებს: "თუ ჩვენ ვმოქმედებთ დევიზით "ბავშვები ჩვენი მომავალია", ეს პირობები დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს._ თვლის იგი. ინფრასტრუქტურის დაუყოვნებელი გამოსწორების აუცილებლობას ხედავს საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე. იქვე კი იმასაც აღნიშნავს, რომ "ყველაფრის ერთბაშად მოგვარება კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული და ამას ვერ შევძლებთ. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ამ ეტაპზე ორი ან სამი ბაღი კაპიტალურად შევაკეთოდ. გარკვეული სამუშაოები კი ყველგან ჩატარდეს. ეს ვარაუდის დონეზე, ამჯერად გამოყოფილი თანხით ყველა ბაღის შეკეთებაა ჩასმული."

აღმოჩნდა ისეთი ბაგა-ბაღიც, სადაც სასმელი წყალი ბავშვებს სახლიდან მოაქვთ პოლიეთილენის ბოთლით, რომელზეც მათი სახელი და გვარი აწერია. არაერთი პრობლემის მიუხედავად, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია, რომელიც წინა ხელისუფლების დროსაც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, აცხადებს, რომ "ეტაპობრივად ეს ბაღები რემონტდებოდა. არაერთგან ვნახეთ შეცვლილი სახურავი და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა. კაპიტალური რემონტი კი არ ჩატარებიათ." სკოლამდელ დაწესებულებებში დახვედრილ მძიმე მემკვიდრეობაზე საუბრისას, საპილოტედ სამი ბაგა-ბაღის კაპიტალურად შეკეთებას თავის კომენტარში ხაზი მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამაც გაუსვა:"ხელისუფლებაში აგვისტოში მოვედით. ბიუჯეტი უკვე დაგეგმილი დაგვხვდა და ბევრი რამის გათვალისწინება ვერ მოხერხდა. არადა, ბაგა-ბაღების პრობლემა აუცილებლად გასათვალისწინებელი იმთავითვე იყო. ამ შენობებში ბავშვების ყოფნა არ შეიძლება. რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები, ალბათ, საკმარისი არ იქნება. ჩვენი, ადგილობრივი რეზერვიდან კიდევ 35 ათასს წავახმართ. ამ ეტაპზე ძირითადად სველ წერტილებს და სამზარეულოებს მოვაწესრიგებთ. აქამდეც ვიცოდით, რა სიტუაციაც გვქონდა, მაგრამ არ გვინდოდა წინა ხელისუფლებაზე ნეგატიურად საუბარი. ამჯერად შემოგვიტიეს და სხვა გზა არ დაგვიტოვეს. რუსთავი 2-ზე გასული სუიჟეტის შემდეგ ჩვენ გვაბრალებენ ბაღებში ასეთ მდგომარეობას. ჩვენ ვიწყებთ, შედეგებს ნახავთ. ქალაქში სამ ბაღს, სადაც ყველაზე მეტია ბავშვთა კონტინგენტი, კაპიტალურად მოვაწესრიგებთ. სველი წერტილები და სამზარეულოები კი ყველგან შეკეთდება."

კონტინგენტის სიმცირეს არც ერთი ბაგა-ბაღი არ უჩივის სამტრედიაში. მაგრამ ე.წ. პრესტიჟულობის გამო ბავშვების რამდენიმე ადგილზე თავმოყრა, მშობლების ქართველობის დამადასტურებელი ნიშაა. ინფრასტრუქტურის გამოსწორების და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების შემდეგ ამ პრობლემის თავისთავად მოგვარება სავარაუდოა. მანამდე კი ცუდი მემკვიდრეობის კარგით შეცვლის დაპირება, მისი აუცილებლად ასრულების გარანტიით მოკლე ხანში დადო ხელისუფლებამ. დაპირებებით არაერთხელ დაპურებულ რეალობას მსგავსი ბევრი ახსოვს. შედეგი იმ შემოვლაზე ნანახი მემკვიდრეობაა. შემოვლები მომავალშიც რომ არაერთი იქნება, ცხადია. მემკვიდრეობად რა დახვდებათ ესაა მთავარი. ამჯერად, უკვე მერამდენე, მერამდენედ ამბობს ვიწყებთო. მით უმეტეს, საქმე ბავშვებს ეხება, ხვალინდელი დღის უკეთესი მომავალი მათი უკეთესი მომავალიდან რომ უნდა დაიწყოს.

საბავშვო ბაღებში კადრები გადაიხედა და...

ახალი წლიდან სააღმზრდელო პროცესის განახლება სკოლამდელ დაწესებულებებში დაგვიანდა. თუმცა, საბავშვო ბაღებში ფუნქციონირების დაწყებამდე გარკვეული მოლოდინები უკვე გამოიკვეთა. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ 28 იანვარს მმართველებთან გამართულ თათბირზე ითქვა, რომ საბავშვო ბაღებში რეორგანიზაცია უნდა დაიწყოს. კერძოდ, ცვლილებები განხორციელდება პროფესიული კუთხით. ხათუნა ახობაძის განმარტებით, სამტრედიის სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ ადამიანებს შესაბამისი განათლება უნდა ჰქონდეთ მიღებული.

ხათუნა ახობაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "ქსელში 267 თანამშრომელი მყავს. მათ შორის არიან მმართველები, ექთნები, აღმზრდელები, აღმზრდელის თანაშემწეები, ძიძა-სანიტრები, მუსიკის მასწავლებლები. დამერწმუნებით, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იღებს საკუთარ თავზე ჩვენი პატარების აღზრდას. მე, პირადად, მიმუშავნია საბავშვო ბაღებში, აღმზრდელადაც, მმართველადაც და ვიცი, რომ აღმზრდელის ადგილზე სკოლამდელი, ან დაწყებითი განათლების მქონე ადამიანი უნდა იყოს, ექთნის პოზიციაზე _ აუცილებლად ექთანი, მუსიკის მასწავლებლად _ მუსიკის სპეციალისტი. როცა კადრებს გადავხედე, ძალიან დიდი დარღვევებია. ბევრგან ისეთი კადრია დანიშნული, რომელიც ვერ ამართლებს მთავარ მოთხოვნას, არ არის სპეციალისტი. ხშირ შემთხვევაში შედეგი სახეზე გვაქვს. ბოლო პერიოდში რამდენიმე უხერხულობას ვერ ავცდით. ამას ემატება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება, სკოლებში ბავშვები 6 წლის ასაკის შესრულების შემთხვევაში მიიღონ. მათ შორის ძალიან ბევრს მოუწევს სკოლაში 7 წლის ასაკში შესვლა (ვგულისხმობ რამდენიმე დღეში 7 წლის შესრულებას). ამ სიტუაციაში პასუხისმგებლობა ეზრდება სკოლამდელ დაწესებულებას, საიდანაც ბავშვი სკოლაში საკმაოდ მომზადებული უნდა წავიდეს. ამას კი მხოლოდ პროფესიონალი აღმზრდელები შეძლებენ".

თუ როდის დაიწყება სკოლამდელ დაწესებულებებში რეორგანიზაცია, ხათუნა ახობაძე კონკრეტულ თარიღს არ გვისახელებს, თუმცა ამბობს, რომ დროში არ გაიწელება. თავისი პოზიცია მან ჯერ ბაგა-ბაღების მმართველებს გააცნო და დაპირდა, რომ ღონისძიებების გატარების დროს კანონის ჩარჩოებს არ გასცდებიან.

ნინო ნანიტაშვილი

10 სამტრედიელი მოსწავლე ცოლნას გალასკმა "ეტალონში" გამოავლენს

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 10 მოსწავლე 8 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ სტუდიაში პროექტ "ეტალონის" გადაცემის ჩაწერაში მიიღებს მონაწილეობას. მუნიციპალიტეტის სკოლების საუკეთესო მოსწავლეებმა, ამ გადაცემისათვის ე. წ. კასტინგი საკრებულოს დარბაზში გაიარეს. მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შესარჩევი ტური მოეწყო. შეკითხვების დალუქული პაკეტი გაიხსნა და მოსწავლეებს განსაზღვრული დრო მიეცათ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

"მინდა, წარმატებები გისურვოთ ბავშვებო, იმუშავეთ მშვიდად, გვსურს 10 ძირითადი და 1 სათადარიგო მოსწავლე გამოვავლინოთ". _ მიმართა კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ მოსწავლეებს ტესტირების პროცესის დაწყების წინ. 20 შეკითხვისთვის თითოეულ მათგანს ნახევარი საათის განმავლობაში უნდა გაეცა პასუხი. პირველ ტურში 9 უმაღლესი ქულის მქონე გამოიკვეთა, მეორე ტურში სამ მოსწავლეს შორის გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრი, მათ 10 კითხვას გასცეს პასუხი, გამოიკვეთა ერთნაირი ქულის მქონე 2 მოსწავლე, უპირატესობა კი იმ მოსწავლეს მიენიჭა, ვინც პასუხი გაცილებით სწრაფად გასცა. უმაღლესი ქულა მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლე, ნინო თევზაძემ მოიპოვა, მას მე-6 სკოლელი ქეთევან აბრამიშვილი მოჰყვა. მათთან ერთად გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ სოფიო დვალიშვილი (1-ლი საჯარო სკოლა), ქეთევან ლეჟავა (მე-11 საჯარო სკოლა), ნინო ჩაჩუა (მე-6 საჯარო სკოლა), ქრისტინე თავაძე (მე-3 საჯარო სკოლა), ანა პაპავა (მე-3 საჯარო სკოლა), ალექსანდრე სანიკიძე (მე-11 საჯარო სკოლა), გოგა თავაძე (მე-11 საჯარო სკოლა), თემურ ვაშაკიძე (დიდი ჯიხაიშის № 1 სკოლა). რეზერვში იმყოფება თედო ზაქარეიშვილი (დაბლა გომის საჯარო სკოლა).

ნატალია მანჯგალაძემ "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა:

"ამ ნიჭიერი მოსწავლეების მხარდასაჭერად მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2960 ლარი გამოჰყო. ეს თანხა გადაცემის ჩაწერისთვის არის საჭირო. პროექტის ხელმძღვანელები 1 თვის წინ დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, შესარჩევი ტური გამართულიყო. გავაფრთხილეთ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის დირექტორი. მონაწილოების მსურველმა მოსწავლეებმა რეგისტრაცია გაიარეს ჩვენს სამსახურში. სულ დარეგისტრირდა 33 მოსწავლე, შესარჩევ ტურში 26 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ყველაზე მაღალი ქულის მქონე 9 მოსწავლე პირველ ტურში გამოიკვეთა, მეორე ტურის ჩატარება 11 ქულის მქონე 3 მოსწავლეს შორის გახდა საჭირო. 2-მა მოსწავლემ დააგროვა თანაბარი ქულები, ვინც გაცილებით ადრე დაასრულა მუშაობა, ის ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა, მეორე მოსწავლე კი სათადარიგო სკამზეა. გადაცემის ჩაწერას დაესწრებიან მოსწავლეთა მშობლებიც, იქნებიან საპატიო სტუმრებიც.

ეს გადაცემა "ეტალონი" მნიშვნელოვანია, რადგან აქ ახალგაზრდების ერუდიციის გამოვლენა და შემოწმება ხდება. ჩვენი მოსწავლეები დაამტკიცებენ თუ რა ჭკვიანები, კარგები არიან ისინი. წარმატებებს ვუსურვებ მათ, ვუგულშემატკივრებ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს სტუდიაში, მჯერა, კიდევ ბევრი ღირსეული ახალგაზრდაა ჩვენს მუნიციპალიტეტში".

ნათია ნაცვლიშვილი

"სკოლებში მამაკაცი პედაგოგების ნაკლებობაა"

ნათია ნაცვლიშვილი

ბაშის სკოლაში უხუცესი პედაგოგი 71 წლისაა, 43 წლის პედაგოგიური სტაჟით. ციფრების და რიცხვების მოყვარულ კაცს, მათემატიკის კარგ მასწავლებელს, იური გერაძეს საგნის სწავლებასთან ერთად შესანიშნავად ხელეწიფება სკოლაში სხვადასხვა წვრილმანი საქმეების კეთებაც. სოფლის ინტელიგენტი კარგი მეთევზე და მონადირეცაა. მრავალი თაობის აღმზრდელი რედაქციაში გვეწვია, მის მიერ განვლილი გზის შესახებაც გვიამბო და თანამედროვე ყოფის საჭირბოროტო საკითხებზეც გვესაუბრა.

სოფელ ბაშში დაიბადა და გაიზარდა, ბაშის საჯარო სკოლა დაამთავრა და ქუთაისის ავტოტექნიკუმში მოეწყო, გერმანიაში სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტში სწავლის პარალელურად ავტოქარხანაში მუშაობდა. ინსტიტუტდამთავრებულმა ქუთაისის № 4 პროფტექნიკურ სასწავლებელში საწარმოო სწავლების ოსტატად და მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მუშაობდა ქუთაისის 145-ე ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ სამხედრო აღმზრდელობით დარგში.

90-იანი წლების შემდეგ მშობლიურ ბაშს უბრუნდება და მათემატიკის პედაგოგად იწყებს მუშაობას. იხსენებს არაჩვეულებრივ პიროვნებას და ბრწყინვალე მათემატიკოსს, ლავრენტი თვალავაძეს, რომელმაც მას, როგორც კოლეგას, პროფესიული რჩევა მრავალგზის მისცა.

ბატონი იური იმაზე წუხს, რომ სკოლას ძალიან ცოტა ჰყავს კაცი მასწავლებელი, სამწუხაროდ მათემატიკოსი მამაკაცებიც შემცირდნენ. უამრავჯერ მდგარა პედაგოგების წინაშე სკოლის მიტოვების საკითხი, იხსენებს რთულ პერიოდს, როცა ხელფასი 3 მილიონი კუპონი აუღია, მაგრამ პედაგოგიური ღირსება მაინც შეინარჩუნა, ისევე, როგორც იმ პერიოდის სხვა ბევრმა მასწავლებელმა.



პედაგოგი წიგნს კომპიუტერთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს, იხსენებს "ლამპის" შუქზე ჩავლილ მის მოსწავლეობას, როცა სოფლის სამივე ბიბლიოთეკის წიგნები გადაკითხული ჰქონდა. მოსწავლეებს ურჩევს ბევრი იკითხონ, რადგან კითხვა უფრო განუვითარებს ფანტაზიის უნარს და მეტად სრულყოფილს გახდის მათ ცოდნას. თუმცა კომპიუტერის ეპოქაში არც მის შესაძლებლობებს აკნინებს. საყვარელი მწერლების: მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავ ნაწარმოებებს არაერთხელ მიაშურებს წასაკითხად.

მასმედიის საშუალებების მიმართაც კრიტიკის გამოთქმას არ ერიდება, მიიჩნევს, რომ ტელეგადაცემებში აქცენტი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების სასიყვარულო ინტრიგებზე კი არ უნდა გააკეთონ ჟურნალისტებმა, არამედ, შემეცნებითი გადაცემები უნდა მომზადდეს, რაც მომავალ თაობას ინტელექტს აუმაღლებს. ქართველი ფიზიკოსების მეცნიერული მიღწევები მსოფლიოში ცნობილია, ჩვენს მომავალ თაობას მეტი ცოდნა უნდა მივცეთ, ფიზიკისა და მათემატიკის სწავლება უნდა გავაძლიეროთ სკოლაში. მეორე მისაღები კრიტიკა, რაც მედიის მიმართ გამოთქვა, ქართული ენის უპატივცემულობაა. ბატონი იური სინანულს გამოთქვამს, რომ სიტყვა კარგი საერთოდ გავაქრეთ მეტყველებიდან და ყველაფრის ეპითეტად ვიყენებთ სიტყვას: "მაგარი".

სოფლის მცხოვრები უმუშევრობაზე წუხს და ამბობს: "სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები 2-3 თვე თუ იმუშავებენ, საზამთროს მოიყვანენ, შემდეგ უმუშევარნი არიან, ტყემალი ხიდან ძირს ჩამოდის, თუნდაც ერთი ქარხანა რომ არსებობდეს, სადაც მისი ჩაბარება მოხდება, მოსახლეობა ჩაბარებს და მცირე შემოსავალს მაინც მიიღებს. ის იმედს იტოვებს, რომ მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდება და ახალგაზრდები დასაქმდებიან.

ბატონ იურის ჰყავს პედაგოგი მეუღლე, ნაზი სულამანიძე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი, რომელთაგან ყველაზე უფროსი სტუდენტია, უმცროსი კი, ბაღის აღსაზრდელია.

ოცა განსაკუთრებული ახალგაზრდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულია

ამბავმა, რომელსაც ყური სრულიად შემთხვევით მოვკარი, ერთი ქართული კინოფილმი გამახსენა: "უძინართა მზეში" სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი ავადმყოფთან დაგვიანებით მიდის, რადგან გზაში ტრანსპორტი უფუჭდებათ. იგი მამაკაცის გადარჩენას ვეღარ ახერხებს. მას თავს ჭირისუფლების რისხვა ატყდება.

სამტრედიაში პირიქით მოხდა: სასწრაფო-სამედიცინო დახმარებაში თბილისიდან შეტყობინება 18 იანვარს დილის 5 საათზე შემოვიდა. "112-მა" ბრიგადას პირველ ნიგორზღვაში გამგზავრება მოსთხოვა. ლეილა თარგამაძეს ჰაერის უკმარისობა ჰქონდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა ნიგორზღვისაკენ დაუყოვნებლივ გაეშურა. ჯერ ისევ ბნელოდა. სოფელში ასულებს თარგამაძეების უბანთან ავადმყოფის ოჯახის ერთერთი წევრი დახვდათ. მან მძღოლს უთხრა, რომ ავადმყოფის სახლამდე მისვლას ტრანსპორტით ვერ შეძლებდნენ. ექიმი და ექთანი ოჯახის პატრონს ფეხით გაჰყვნენ. სიბნელეში ძნელი იყო გზის გაკვლევა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ფეხით მოსიარულეებს ტალახში გადაადგილება უჭირდათ. წინაღმდეგობების მიუხედავად მაინც მოახერხეს ავადმყოფამდე მისვლა, შუახანს გადაცილებულ ქალბატონს სამედიცინო დახმარება გაუწიეს და უამრავი მადლობა მიიღეს. უკანმობრუნებულებს უსიამოვნება შეემთხვათ. ექიმს სიბნელეში სველ გზაზე ფეხი დაუცურდა და მოკლე ფერდობიდან გადავარდა. ექიმმა ფეხის საშინელი ტკივილი იგრძნო. იგი სასწრაფო-სამედიცინო მანქანამდე ძლივს მიიყვანეს. სამტრედიაში რენტგენი გადაიღო და აღმოჩნდა, რომ დარეჯან კალანდაძეს მარჯვენა ფეხის დიდი წვივის ძვალი გატეხილი ჰქონდა.

ტრავმის მიღების დროს მის გვერდით მყოფ ადამიანებს ახსოვთ წინადადება, რომელიც დარეჯან კალანდაძემ საშინელი ტკივილის მიუხედავად წარმოსთქვა: კიდევ კარგი, იქითობისას არ დამემართა, თორემ ავადმყოფის გადარჩენას ვერ შევძლებდიო.

ალბათ, ნებისმიერი მკითხველი იტყოდა, რომ განსაკუთრებული არაფერი თქმულა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ის, რაც დარეჯან კალანდაძემ გააკეთა და თქვა, ნებისმიერი ექიმის პირდაპირი მოვალეობაა. თუმცა იქვე იგივე მკითხველებს უამრავი შემთხვევა გაახსენდებათ, როცა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის დაგვიანებით მისვლას რამდენი სიცოცხლე ვეღარ გადაურჩენია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ დარეჯან კალანდაძის შესახებ საგაზეთო სტატია მოგვემზადებინა. იქნებ, პირველ ნიგორზღვაში მცხოვრებმა ლეილა თარგამაძემ არც კი იცის, ექიმმა, რომელმაც 18 იანვარს მისი სიცოცხლე გადაარჩინა, იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში მოტეხილი ფეხით ბიულეტენზე ყოფნა უხდება და არც ნანობს, რადგან იმ ხიფათიან დღეს ოჯახს დიასახლისის სიცოცხლე შეუნარჩუნა.

"35 წელია, სამტრედიაში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმად ვმუშაობ და ბიულეტინით არასოდეს მისარგებლია", _ ამბობს საწოლში მწოლიარე და თან ეუხერხულება, ისეთი განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, პრესის ყურადღება რომ მიმეპყროო.

1980 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმად დაიწყო მუშაობა. 1982 წელს კი მომავალი სამტრედიელ დავით ნიკურაძეს დაუკავშირა, რომელიც იმ პერიოდში ხის დამმუშავებელი კომბინატის თანამშრომელი იყო. მათ ორი შვილი, ქალ-ვაჟი შეეძინათ. თამარ ნიკურაძე სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტია, ხოლო ვაჟი, ტარიელ ნიკურაძე ინჟინრის პროფესიას ფლობს.

როცა გათხოვდა, მამამთილი უკვე გარდაცვლილი ჰყავდა, თუმცა დარეჯან კალანდაძეს ბევრი ჰქონდა გაგონილი მეუღლის მამის, ტარიელ ნიკურაძის შესახებ, რომელიც ასევე პროფესიით ექიმი იყო და წლების განმავლობაში სასწრაფო-სამედიცინო დახმარებაში განყოფილების უფროსად მუშაობდა.

ერთი სული აქვს, როდის გაირბენს დარჩენილი დღეები და გამოჯანმრთელებული კვლავ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის სამსახურში ჩადგება. ასევე, "გაათავისუფლებს" ვაჟს, რომელიც უკრაინიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა მწოლიარე დედისთვის მიეხედა და მისთვის განსაკუთრებული მზრუნველობა არ მოეკლო.

ნინო ნანიტაშვილი

კინო ბნელ ოთახში

თეა ბაბუნაშვილი

"...რადგან საქართველოში დღეს დაიკარგა კინოში სიარულის კულტურა, არაფერი კეთდება კინოს პოპულარიზაციისათვის და აუდიტორია ძირითადად უყურებს ფილმებს, რომელთაც არ გააჩნიათ კულტურული ღირებულება"... ნათქვამია წერილში, ჟურნალ "ფილმპრინტის" ფურცლებზე რომ დაბეჭდა თეა გაბიძაშვილმა და პროექტს "კინო სკოლაში" ეხმიანება. და რადგან ისეა, როგორც დავიწყეთ, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა საკუთარი ინიციატივითა და დაფინანსებით კინოხელოვნების ახალგაზრდობამდე, მოზარდებამდე მიტანის ერთადერთ გზად მისი სკოლებში შეტანა მიიჩნია, თუნდაც, კინოკლუბების გახსნის მეთოდით. განსაკუთრებულად შერჩეული კინომცოდნეები, განსაკუთრებულად შერჩეულ-გადარჩეული კინოფილმებით კვირაში ერთი დღე მოსწავლეებთან ერთად კინოკადრებს უღრმავდებოდნენ. ვიდრე იმაზე მოგითხრობდეთ, როგორ მიმდინარეობდა პროექტი, ისიც ვთქვათ, რომ კინოგანათლება ევროპისა და ამერიკის არაერთ ქვეყანაში სასწავლო დისციპლინებს შორისაა, როგორც მოზარდი თაობის კულტურული და სულიერი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი. საქართველოში კი ეს პროგრამა ამ ეტაპზე 40 საჯარო სკოლაში განხორციელდა საპილოტედ. იგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაცია ph international-ის თანამშრომლობით განხორციელდა. კინემატოგრაფიის პოპულარიზაციასთან ერთად იგი ახალგაზრდებში ანალიტიკური უნარის ჩამოყალიბებას, ესთეტიკური აღქმის განვითარებას ემსახურებოდა. კინოკლუბის წევრები კინოს ეროვნულ, კულტურულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებსაც ეზიარებოდნენ მათთვის შერჩეული ფილმების მეოხებით.

გარდა იმისა, რომ ნამდვილი კინოხელოვნების ნიმუშები ნახეს, მინი სცენარები თავადაც შექმნეს კინოკლუბის წევრებმა. ასე შეიქმნა მათ მიერ 28 ფილმი. მათგან ხუთი საუკეთესო პროექტის დასასრულს კინოთეატრ "ამირანში" გამართულ ჩვენებაზე იქნა წარმოდგენილი. ორმოცივე სკოლის კინოკლუბელები ჩავიდნენ დედაქალაქში პროექტის დახურვაზე. მათ შორის, რა თქმა უნდა, სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლელებიც, სადაც საპილოტედ მიმდინარეობდა ეს პროექტი. მით უმეტეს, რომ საჩვენებელ ხუთ საუკეთესოში აქაური მეთერთმეტეკლასელის, ნინო თევზაძის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი "სიზმარი" ერია. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მენეჯერმა კოტე ჩლაიძემ საუბარში განაცხადა, რომ "ბავშვებმა რეგიონებიდან განსაკუთრებით საინტერესო აზროვნება და ხედვა გამოავლინეს. მათმა დაინტერესებამ პროექტით მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა ამ ბავშვებსაც დიდი რამ მისცა პროექტმა და ეს ნამდვილ კინოხელოვნებასთან ზიარება იყო. მათთვის შერჩეული 24 ფილმი, შეიძლება არასდროს ენახათ სხვა შემთხვევაში, იმიტომ, რომ არასდროს დაინტერესებულიყვნენ ამ ფილმებით, როგორც ნამდვილი ხელოვნებით. ასე თუ ისე, მათ ისწავლეს, რა არის ღირებული. ჰოდა, ჯერი მათზეა სამომავლოდ. კინოგანათლების და გემოვნების დახვეწის პირველი ეტაპი გაიარეს. ამიერიდან თავად შეუძლიათ სკოლაში პატარ-პატარა სცენარებზე ფილმების გადაღება და ჩვენ აქ ვართ. სამომავლოდ პროექტის საქართველოს ყველა სკოლაში განხორციელებას ვგეგმავთ". მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ქვეყნის მასშტაბით კინოთეატრები მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს. ასეა 21-ე საუკუნის საქართველოში! "ინტერნეტის ეპოქაშიც კი ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ წიგნის კითხვას და კინოს ბნელ ოთახში ნახვას სხვა სულიერი დატვირთვა აქვს. ეს არის პროექტი, რომელიც ამ ეტაპზე გადარჩენად მივიჩნიეთ. იგი აუცილებლად ბავშვებიდან უნდა დაწყებულიყო."_აღნიშნა კოტე ჩლაიძემ.

ბნელი ოთახი იმ დღეს კინოთეატრ "ამირანის" კინოდარბაზი იყო, სადაც დანარჩენ ოთხთან ერთად სამტრედიელი, მეტერთმეტესკოლელი ნინო თევზაძის ფილმისთვის განკუთვნილი ოვაციებიც გაისმა. სკოლას და კინოკლუბის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

და დღე რომ კიდევ უფრო დაუვიწყარი ყოფილიყო, ეკრანი კიდევ ერთხელ აინთო, ამჯერად თენგიზ აბულაძის შედევრის, "ნატვრის ხე" სანახავად. ფილმი ცოტა ხნის წინ აღადგინეს. იმ დღეს ბატონი თენგიზის დაბადების დღე გახლდათ. დარბაზში მყოფთაგან ბევრმა არათუ "ნატვრის ხე", საერთოდ კინოფილმი ნახა პირველად დიდ ეკრანზე.

და ბოლოს ამ ფილმის მთავარი როლების შემსრულებლები, კახი კავსაძე და ზაზა კოლელიშვილი იდგნენ სცენაზე. მათთან ავტოგრაფისა და სამახსოვრო ფოტოს გარდა არაერთი კითხვა ჰქონდათ კინოთი "მოწამვლადაწყებულ" მოსწავლეებს. "მოდის თაობა ნიჭიერი, მოაზროვნე. სხვანაირი გონების ბავშვები არიან და ეს არ უნდა დაიკარგოს. ცენტრი რაიონთან და რაიონი ცენტრთან უნდა მივიდეს, საქართველო არ იწყება და არ მთავრდება თბილისით, და ეს საბედნიეროდ!"_ ამბობდა კახი კავსაძე. კინოცენტრის დირექტორს, ნანა ჯანელიძეს ეს პროექტი ამ ეტაპზე ერთადერთ გადარჩენად მიაჩნდა. "ამდენი ბავშვის დაინტერესება კიდევ უფრო მეტის დაინტერესების სტიმულია. მათი ინტერესი ჭეშმარიტი კინემატოგრაფიით საზოგადოების დაინტერესებას ხვალ და შორეულ მომავალშიც განაპირობებს." განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ლია გიგაური კი აღნიშნავდა, რომ "დღეს პირველი ეტაპი დასრულდა ამ მნიშვნელოვანი პროექტისა. შედეგი დამაჯერებელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სამომავლოდაც გაგრძელდეს იგი სკოლებში. კინოხელოვნებისადმი მოსწავლეთა ცნობიერების განვითარებამ, მათი ანალიტიკური აზროვნების უნარი განავითარა. პროექტი აუცილებლად გაგრძელდება."

სამტრედიელ ბავშვებთან მუშაობა ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორ გიგა ლიკლიკაძისთვის, რომელიც მეთერთმეტე საჯარო სკოლაში პროექტს ახორციელებდა.

კანტი ამბობდა: "აღზრდა არის ხელოვნება, რომლის სრულყოფა მრავალ თაობაში მიმდინარეობს". და რადგან ასეა, საქართველოს საჯარო სკოლებში დაიწყო პროექტი, მრავალი თაობის სულიერი აღზრდა რომ უნდა იტვირთოს.

ტრენინგი ექთნებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებით

გასული წლის ოქტომბერში, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონებში ამბულატორიების ექთნების გადამზადებას გულისხმობდა. იგი 0-5 წლამდე ბავშვების პატრონაჟისთვის იყო განკუთვნილი. ტენდერი პროფესორ ნიკოლოზ ფრუიძეს ტელემედიცინის კლინიკამ მოიგო და პარტნიორ ორგანიზაცია "ალიანსთან" ერთად, სადაც გაერთიანებული არიან კვალიფიციური პედიატრები, ახორციელებს პროექტს. "ეს არის ახალი სიტყვა. სწავლება ხდება ტელედისტანციურად ონლაინ რეჟიმში. ტრენერები თბილისიდან რაიონებში ესაუბრებიან მსმენელებს. რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში შექმნილ ტრენინგცენტრებში ინტერაქტიულ რეჟიმში ტარდება მეცადინეობები. ეს დღეს მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე მეთოდია". _ აღნიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კონსტანტინე ფრუიძემ.

სამტრედიაში ონლაინ ტრენინგები გარდა სამტრედიელებისა, ვანელმა და ხონელმა ექთნებმა გაიარეს. სამტრედიიდან სოფლების ამბულატორიების 19-ვე ექთანმა გაიარა ეს კურსი. აიტ-მენეჯერი გია შუბლაძე მათ შესაბამის სერტიფიკატებს გადასცემს.

პროექტი ჯერჯერობით საპილოტეა. იგი მაისში დასრულდება. მეორე ეტაპზე, სავარაუდოდ მთელ საქართველოს მოიცავს. "სამეცნიერო კვლევები და იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც დანერგილია სამედიცინო პერსონალის ოჯახში ვიზიტი, გვიჩვენებს მოცემული სამსხურის მაღალეფექტურობას. ადრეულ ასაკში დაწყებული ჯანმრთელობის განვითარების ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია, პრობლემათა ადრეული გამოვლენა და სწორი მართვა, საბოლოოდ განაპირობებს დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ქვეყნის მასშტაბით". _ ეს გახლავთ ონლაინ ტრენინგის ძირითადი მიზანი.

პროექტში მონაწილე მედპერსონალი მსგავს გადამზადებას სამომავლოდაც მიესალმება.

ᲗᲔᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თეატრიდან ფეხს არ მოვიცვლი

ბევრ წინააღმდეგობას სძლია ელენე ყიფშიძემ. კინო არ გამხდარა მისი პოპულარობის მიზეზი, მეტიც, მას ხელოვნების ამ დიდ ინდუსტრიაში არც კი სწყალობდნენ. რთულია, ლეგენდარული კომიკოსების იპოლიტე ხვიჩიას, სესილია თაყაიშვილისა და სხვათა გვერდით, ეპიზოდურ როლში, იმდენად დიდი არტისტიზმი გამოავლინო, რომ წარუშლელი კვალი დატოვო მათ მეხსიერებაში, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ნიკოლოზ სანიშვილის "თოჯინები იცინიან".

დიახ, დიახ, აბა, კარგად გაიხსენე მკითხველო: "რას იმღერებ? არაყიშვილს, მოცარტს, შუმანს..." დაუვიწყარია ფილმის ეს ეპიზოდი, მით უფრო, ის ემოცია, რაც ნამღერით "მოხიბლული" გამომცდელებისგან თუ კონცერტმაისტერისგან მოდის.

ლენა ყიფშიძე 1948 წელს მივიდა თეატრში, მის ელვარე ნიჭს შემოქმედების დასაწყისშივე გამოუჩნდნენ მოშურნეები და "ფეხიც დაუდეს" წარმატებისაკენ მიმავალს, მან მაინც მიაღწია საწადელს.

ბოჰემური, სხვებისგან განსხვავებული, თითქოს ყველასთვის ნაცნობი, მაგრამ ამოუხსნელი იდუმალებით მოცული იყო მისი ცხოვრების სტილი. რამდენიმე უიღბლო ქორწინებამ მას საბოლოოდ ჩააქნევინა ხელი პირადი ცხოვრების ხელახლა აწყობაზე. იქნებ, ეს ნაბიჯი პირველი სიყვარულის გამოძახილიც იყო, ფაქტი კი ერთია _ მან ვნებათაღელვის ნავსაყუდელი მარტოობაში ჰპოვა.

თუკი თვალს გადავავლებთ მსახიობის ადრეული პერიოდის ფოტოებს, მათში ქართველი ქალის რეალურ პორტრეტს ამოვიცნობთ. გვიანდელ თეატრალურ და საესტრადო წარმოდგენებში კი ელენე ევროპული გარეგნობის ქალბატონად გვევლინება. იერსახის ამ ექსპერიმენტული ცვლილების შესახებ ის თავად იგონებდა ერთ-ერთ ინტერვიუში: "თეატრალური ინსტიტუტიდან მოყოლებული, ხშირად მიღებდნენ კინოსინჯებში, თუმცა, ჩემი კეხიანი ცხვირი ყოველთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. წლების შემდეგ "წოპემ" პლასტიკური ოპერაცია შემომთავაზა, რასაც სიხარულით დავთანხმდი... ნეტავ, რა მახარებდა?! ჯერ თეატრში ამიკლეს ვასო გოძიაშვილმა და ალექსანდრე ომიაძემ, ეს რა ჩაიდინეო, შემდეგ კინოსტუდიიდანაც უარით გამომისტუმრეს.

ლენა ყიფშიძის სტიქია მაინც თეატრი იყო და იგი ბოლომდე იხარჯებოდა კიდეც სცენის მტვერში.

" მისი ყოველი გამოჩენა ნიჭიერების ფოიერვერკს ჰგავდა. ის იყო დიდებით მოსილი არტისტი, უზომოდ კეთილშობილი, სხვათა ჭირის, ლხინის გამზიარებელი. იშვიათია შემთხვევა, რომ მსახიობს კონკურენტის წარმატება ეამოს, იგი ამ მხრივ გამონაკლისთა შორის გახლდათ. უსამართლობას ვერ ეგუებოდა, სიმართლის გასამარჯვებლად თავს არ ზოგავდა.

არასოდეს ყოფილა რეჟისორებთან პირფერი, მისთვის როლების რაოდენობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. სპექტაკლში დასაკავებლად ხვეწნას არავის დაუწყებდა, მაგრამ რაში უნდა დაჭირვებოდა ეს, როცა ყველამ იცოდა ლენასა და გარანტირებული წარმატების განუყოფელი ცნების შესახებ.

ჩვენი ბიჭები დღედაღამ ერთად იყვნენ, სად არ ვეძებდით ხოლმე, სახლში, გარეთ, მეზობლებთან... ისინი კი ხან ბათუმში ამოყოფდნენ თავს, ხან იქ და ხან აქ. ბევრი მითი შეთხზეს ლენას შესახებ, მაგრამ მისი სახელი დღემდე ეპოქის მწვერვალზე რჩება". _ აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას საქართველოს სახალხო არტისტი თამარ სხირტლაძე.

ადამიანურ გულისხმიერებას მოკლებული ლენა, შვილის მომავალში ჭვრეტდა ახალგაზრდობისას აუხდენელ საკუთარ მისწრაფებებს.

დედის მსგავსად, ზურა ყიფშიძეც არ ყოფილა ხელშეწყობით განებივრებული. ბევრი ვერ იგებდა მის აზროვნებას. ელენე კი ცდილობდა ვაჟის გვერდით მდგარიყო და ღირსეულად ახერხებდა ამას.

დრო გადიოდა. ლენა ყიფშიძე წელთა დაღმართს დაუყვა, მარჯანიშვილის თეატრში ახალ პიესაზე დაიწყეს მუშაობა, რეჟისორმა გოგი თოდაძემ "ისევ ვოდევილების" დადგმა განიზრახა და კარაპეტა დამბაღოვის მთავარ როლზე 60 წელს გადაშორებული მსახიობი მიიწვია.

ამ სპექტაკლით მან სრული გადატრიალება მოახდინა, იმდენად კარგად მოერგო ხარბი, სიმდიდრეს დაპატრონებული, უსუსური მოხუცი კაცის პერსონაჟს და ვოდევილების ჟანრის წარმატებით შემსრულებელთა შორის, ნატო გაბუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, ნიკო გოცირიძესთან, ელისაბედ ჩერქეზიშვილთან, ტასო აბაშიძესთან, ვასო გოძიაშვილთან ერთად დაიმკვიდრა სახელი.

ბედმა არც ცხოვრების მიმწუხრს გაუღიმა ელენე ყიფშიძეს, დედის ბოლო დღეები უმძიმესი იყო ზურა ყიფშიძისთვის: "უყურადღებობით, მოუცლელობით ენაზე სიმსივნე ჩამოუყალიბდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ექიმისგან შემოთავაზებული, სიცოცხლის გახანგრძლივების უკიდურესი ფორმა, ენის ერთი მესამედის მოკვეთა ვიუარეთ, მაგრამ, რომ გვცოდნოდა, თუ რა ტანჯვა ელოდა, ამ ნაბიჯსაც გადავდგამდით. დაუძლურებული აღარავის იკარებდა, დაუშრეტელი ენერგიაც მიელია და..."

"სანამ არ მოკვდები, მე თეატრიდან ფეხს არ მოვიცვლი!" _ ასეთი იყო მისი ნატვრა. რომ არა ვერაგი სენი, ენთუზიაზმი საკმარისი აღმოჩნდებოდა კიდევ ერთხელ გამოსხივებულიყო ელენე ყიფშიძის ტალანტი, მსახიობისა, რომელსაც 5 თებერვალს 90 წელი შეუსრულდებოდა.

ᲖᲘᲛᲘᲐ ᲯᲯᲯᲐᲕᲐ

8 თებერვალი ნმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

დავითის ისტორიკოსის პედაგოგიური ნააზრევიდან

ქართული ისტორიოგრაფიისათვის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია უცნობი მემატიანის "ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი". მისი ავტორი მარტო დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ დიდებულ ამბებს კი არ გადმოგვცემს, არამედ ადამიანის ნებისა და მოქმედების თავისუფლების საკითხებზეც მსჯელობს, აღზრდის მომენტებიც შეაქვს თავის თხზულებაში. ავტორისათვის უეჭველად კარგად იქნებოდა ცნობილი შუა საუკუნეებში დამკვიდრებული აზრი აღზრდის პრობლემებზე, რომლის მიხედვით, აღმზრდელს, მასწავლებელს ძალუძს, აღსაზრდელის გონებამისწრაფებას სასურველი მიმართულება მისცეს, ყმაწვილი ადვილად მოაქციოს სასურველი ზემოქმედების ქვეშ. მაგრამ, ამასთან ისიც ჩანს, დავითის ისტორიკოსი იმასაც თვლის, რომ ადამიანს თან სდევს მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებები, რომლებიც მას, "თანაშთამომავლობით" მოაქვს "გუარისაგან გონებითა". ამ შეხედულების მიხედვით, თანდაყოლილი მიდრეკილებების შეცვლა და სწორი მიმართულებით წაყვანა ვერასგზით ვერ ხერხდება, რადგან მემკვიდრული თვისებები ყოველგვარ გამასწორებელ აღმზრდელობითს ღონისძიებებზე უფრო ძლიერი და შეურყევადია. მეორე მხრივ, შუა საუკუნეებში ეს შეხედულებაც ბატონობდა აღზრდის შესახებ.

აღმაშენებლის ისტორიკოსი, ვისთვისაც დავითი ხოტბის უპირველესი საგანია, გვაუწყებს, რომ ავიდა თუ არა დავითი სამეფო ტახტზე, სცადა, კანონის ქვეშ მოეყვანა ადრიდანვე თავგასული ფეოდალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ყველასათვის კარგად ცნობილი ეს ისტორია მთავრდება იმით, რომ საქართველოს მეფე დარწმუნდა, ლიპარიტის მორჯულება ისევე არ შეიძლებოდა, როგორც ძაღლის კუდის გამართვა და კიბოს სწორად სვლა. ის იყო დავითმა ურჩი ფეოდალი ბოლოს საკადრისად დასაჯა: საბერძნეთს გაამევა.

ისტორიკოსი ამ აქტს აღნიშნავს მხოლოდ და რაიმე შეფასებას არ აძლევს. ცხადია, მას მოსწონს მეფის პოზიცია, რითაც უსიტყვოდ გამოხატავს იმ ურყევ აზრს, ვინმე კანონს თუ არღვევს თანაშთამომავლითი თვისებები ვერ დაიფარავს. ხატოვნად რომ ვთქვათ: "მფარველი ანგელოზი" აღზარდა.

ისტორიკოსის მიერ წარმოჩენილი ეს ხანგრძლივი მწვავე კონფლიქტური სიტუაცია ძლიერ მეფესა და ურჩ ფეოდალს შორის არის ნათელი გამოხატულება იმ საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს აღზრდის ყოვლისშემძლეობას და პრიორიტეტს აღსაზრდელის "თანაშთამომავლობას", მემკვიდრულ თვისებებს აკუთვნებს, რაც თხზულებაში ფიგურალურად ასეა გამოთქმული: "რამეთუ კუდი ძაღლისაი არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლიად ვალს". სწორედ ეს იყო მიზეზი ბაღვაშების მოურჯულებლობისა, მათ "ბუნებამ არ უშველა", მარტო წვრთნამ კი ვერაფერი უყო.

არაერთხელ თქმულა დიდებულ თვისებებზე ქართველი კაცისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის საშინელებაც აღიარებულია, რომ მას უძველეს დროიდანვე ორგულობა სჩვევია, რომ ეს ავისმაუწყებელი თვისება თანდაყოლილია მისთვის. სწორედ ამიტომ, ქართველი ხალხის (იგულისხმება დიდგვაროვანი ფეოდალები) დახასიათებისას თავშეუკავებელია და პირდაპირ ცეცხლს აფრქვევს დავითის ისტორიკოსი: "ვინათაგან ნათესავი ქართველთაი, ორგულ-ბუნება არს პირველითაგან თავსთა უფალთა", რამეთუ, რაჟამს გან-დიდნენ, განსუქნენ და მშვიდობაი პოონ და განსუენებაი, იწყონ განზრახვად ბოროტისა, "ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისაი და საქმენი აწ ხილულნი". მთელი კონტექსტი მეტყველებს, რომ "ორგულოვნება" ოდითგანვე სჩვევია ქართულ ჯილაგს, ქართულ გენს, მისი ამოუკვეთავი მემკვიდრული თვისებაა. ეს რომ რეალურად ასეა, ერის განმაქიქებელი თავისმომჭრელი ეს სიტყვები ისტორიკოსისა, ჩვენი რწმენით, სწორედ ამიტომაც დაიწერებოდა. ხანგრძლივი საუკუნეობრივი დაკვირვების ნაყოფია იგი. სამწუხაროდ, მას მხოლოდ დავითის ეპოქაში არ უჩენია თავი. აკი იმოწმებს კიდეც ავტორი, ამას "ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე"-ო. ე. ი. ეს უკურნებელი სენი "არ ახალია, ძველია" და ადრეც ჰქონიათ შენიშნული თურმე ჩვენს მემატიანეებს.

ჭეშმარიტად "შორს გამჭვრეტელი აზროვნების პატრონია" დავითის ისტორიკოსი, როგორც მან თავისი ფხიზელი "საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა" აღზრდის პრობლემებსაც მიაპყრო და მასზე მისდროინდელი საზოგადოების გარკვეული აზრი გარკვეული პოლიტიკური მიზნით ნათელხილვად გამოამზეურა.

არის მეორეც: დავითის ისტორიკოსის ეს საზრისი ქართული პედაგოგიური აზროვნების მაღალი დონის მაუწყებელია.

ვალერიან თევზაძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

მირქმის გილოცავთ!

შობის შემდეგ მეორმოცე დღეს მარიამმა და იოსებმა აიყვანეს ყრმა იესო ტაძარში, რომ მის მაგიერ ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირათ. იერუსალიმში ამ დროს ცხოვრობდა მოხუცი სიმეონი, კაცი მართალი და კეთილმსახური, ის მოელოდა მაცხოვარს და სული წმიდა იყო მასზედა.

სულიწმიდისაგან მას წინათ ჰქონდა თქმული: "არ მოკვდები, სანამ არ იხილავ უფალსო".

სული წმიდის ჩაგონებით ის მოვიდა ტაძარში, აიყვანა ყრმა იესო ხელში და თქვა: "აწ განუტევე მონა შენი მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა".

15 თებერვალს (ახალი სტილით) ეკლესია აღნიშნავს მირქმას _ გულზე მიკონებას, მიგებებას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

გილოცავთ!

ლევან გაბაჩავა

"იბადებიან კვლავაც ლეკვები, სადიდგორენი, დავით"

"მტერმაც გვლეწა და ურთიერთიც ვლეწეთ, ვლეწეთ დღითა და ღამით, ვერ ვიდიდგორეთ, ვერ ვითამარეთ, ვერ ვიდავითეთ, დავით!" თინათინ მღვდლიაშვილის ამ უკვდავ სტროფებზე აჟღერებული თემურ თათარაშვილის სიმღერით გაიხსნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მუნიციპალიტეტის ხელოვანთა დარბაზში. მისი ორგანიზატორი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური იყო. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დომენტი შანიძის სახელობის № 1 სახელოვნებო სკოლისა და დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა. ვალერი მარტინოვმა (№1 სკოლა) შეასრულა ვაჟა აზარაშვილის "რა კარგი ხარ", ანრი მანჯგალაძემ "ჩეჩნური მელოდიები" და მთიელ ქალთა საცეკვაო". ეს უკანასკნელი პედაგოგ მერი ტკვაცირიასთან ერთად შესრულდა. თამთა ცინცაძის შესრულებით ასევე მოიწონა პუბლიკამ სულხან ცინცაძის "ხორუმი". რამაზ შენგელიამ და თამთა თევზაძემ შეასრულეს ვაჟა აზარაშვილის "ნოქტიურნი", მარიამ თევზაძემ კი _ რევაზ ლაღიძის "სიმღერა" (ჩელო). მეგრული და თუშური სატრფიალო სიმღერებით და მეგრული "მა სი ვარდით" მოხიბლეს მსმენელი.

დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის ფოლკლორული ანსამბლის წევრებმა (პედაგოგი შორენა რაზმაძე).

თეთრი ჩოხით წარსდგა დეკლამატორი ლაზარე ნინუა (მელაურის საჯარო სკოლის მოსწავლე) აუდიტორიის წინაშე. მან ანა კალანდაძის ლექსი წაიკითხა "ფეხი დამადგით...". საღამო № 1 სახელოვნებო სკოლის პედაგოგს ხათუნა გოგიას მიჰყავდა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილთ დიდბუნებოვანი და ღვაწლმოსილი მეფის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. დარბაზში მსხდომნი ღონისძიების ბოლოს მამა რომანოზმა (ნინუა) დალოცა და განაცხადა: "მოახლოვდა 8 თებერვალი, ღმერთმა მრავალ ასეთ დღესასწაულს დაგასწროთ, დავით მეოთხე აღმაშენებელმა, რომელიც იყო მესიის მახვილი, ბრძანა: "ფეხი დამადგით გულზე ყოველმან". ის უდიდესი მეფე იყო, თანაბრად ემსახურა როგორც ქვეყანას, ისე ღმერთს, ბოლოს ცოდვები მოინანია და დაწერა უკვდავი "გალობანი სინანულისანი". მადლობა ამ ლამაზი ღონისძიების ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს მშვიდობა, ძლიერება და სიმტკიცე მოგანიჭოთ უფალმა".

ნატალია მანჯგალაძე, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი:

"გილოცავთ ყველას ამ დღესასწაულს, მადლობა ყველა დამსწრეს, მადლობა ღონისძიების ყველა მონაწილეს, ორივე სახელოვნებო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს, ვფიქრობ, ლამაზი საღამო იყო და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოვიდა დღეს სცენაზე".

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე:

"ძალიან კარგი და ლამაზი დღე გვაჩუქეს საღამოს ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა, დასწრებაც კარგი იყო. ჩვენ დავითის შთამომავალნი ვართ. საერთოდ, ქართველ მონარქთა არაჩვეულებრივ დინასტიაში მეფე დავითი არის სიმდიდრე და გვირგვინი, ბედნიერი ვართ, რომ გვეძლევა შესაძლებლობა, დავაფასოთ მეფე დავითის ღვაწლი, ეს მეფე წმინდანად შეირაცხა. მის სახელს უკავშირდება რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელიც ძეგლის წერის სახელით არის ისტორიაში შესული. ამ კრებაზე გამოიკვეთა სარწმუნოების სასიცოცხლო და აუცილებელი მნიშვნელობა საქართველოსათვის. ეს იყო ბრძენი მეფე, რომელმაც გააერთიანა საქართველო და ვიდრე მადლიერი ქართველი ერი იარსებებს, ყოველთვის აღვნიშნავთ მისი ხსენების დღეს. მადლობა უფალს, რომ ჩვენს ქალაქში დგას დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი და ჩვენ, მოქალაქეები, ქვეყნისა და წინაპართა სახელის სადიდებლად სანთელს ვანთებთ ამ დიდებულ ტაძარში".

ნაომა ნაცვლიშვილი

2015 წელი აკაკი წერეთლის წლად გამოცხადდა

გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა კოპორტაში განსაკუთრებით ბრწყინავს აკაკი წერეთლის სახელი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში "საქართველოს ბულბულად" შერაცხულმა პოეტმა მრავალი ლექსით, პოემით, ლიტერატურული ნაწარმოებით გაამდიდრა სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა. თითოეული მისი შედევრი ეროვნული კულტურის უიშვიათესი შენაძენია.

სიცოცხლეშივე არნახული პოპულარობა მოიხვეჭა პოეტმა. საქართველოს მრავალ კუთხეში იწვევდნენ მას და გრანდიოზული შეხვედრებით გამოხატავდნენ მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას ქართველები.

1912 წელს მგოსნის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში საფუძვლად დაედო ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას.

არაერთხელ უსტუმრია აკაკის სოფელ დიდ ჯიხაიშში, გენიალურ მოაზროვნესა და ერისკაცთან, ნიკო ნიკოლაძესთან. აქ, ნიკოსეული სახლის აივანზე ერისკაცებს გათენებამდე უმსჯელიათ საქვეყნო სატკივარზე.

_ სოფელ კულაშში მცხოვრებ პოეტთან, დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძესთანაც, რომელიც "მეველეს" ფსევდონიმით წერდა, ხშირად ყოფილა სტუმრად აკაკი. აქ, კულაშში გამოჰკიდებია მოფარფატე პეპელას დავით მიქელაძის ვაჟიშვილი ივერი და პოეტსაც ახალი ლექსი შეუქმნია:

"ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ივერი
დაიჭირა და ეამა".

წლები გავიდა, რაკიღა გარდა ამ კონკრეტული შემთხვევისა არაფრის მთქმელი იყო, სიტყვა "ივერი" _ ყმაწვილმა შეცვალა და სწორედ ამ სახითაა იგი დღეს ცნობილი.

"მას მიეპარა ყმაწვილი..."
აკაკი და ილია, ილია და აკაკი...

თითქოს განგებამ ერთურთს საგანგებოდ დაუკავშირა ეს ორი ადამიანი, ორი ბუმბერაზი ერისკაცი.

მრავლისმთქმელი და მრავლისმეტყველია საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქში, ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ილიასა და აკაკის ძეგლის არსებობა.

სულშეძრული გამოეხმაურა უკვე სენშეყრილი, მოხუცი აკაკი ილიას მუხანათურ მკვლელობას.

75 წლის ასაკში აღესრულა აკაკი წერეთელი საუკუნის წინ.

წელთა სრბოლასთან ერთად მეტ მნიშვნელობას იძენს მისი ყოველი ნააზრევი.

მისასალმებელია, რომ "იუნესკომ" მიმდინარე წელი საქართველოში აკაკი წერეთლის წლად გამოაცხადა. დიდი აღიარებაა უდავოდ და მისასალმებელი, პოეტი ხომ მარად ჩვენი თანამედროვეა.

ლევან გაბაჩავა

"ვინც ჩემს გულს ეძებს, ლექსში იპოვის"

ქეთევან ჭელიძე

"ძალიან პოზიტიური ადამიანი ვარ. მიყვარს სიცოცხლე, სამშობლო, ღმერთი, ფლორა, ფაუნა, ბავშვები (სიგიჟემდე), მეგობრები; მიყვარს სიყვარული, ხელოვნება, პოეზია, მხატვრობა და ყველაფერი ლამაზი და სრულყოფილი. ვცდილობ, რამდენადაც შევძლებ, მეც შევქმნა სილამაზე.

მიყვარს ადამიანები, ჩემი ქართველები, ემიგრანტები.

ვერ ვიტან ღალატს, სიცრუეს, ორმაგ თამაშს, პირფერობას.

მე ვარ Facebook-ზე და მანანა ტონია მქვია".

ასე წარსდგა იგი სოციალურ ქსელში. "სამტრედიის მაცნეს" მკითხველები კი მას გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი საბავშვო ლექსებით იცნობენ. მანანა ტონია პროფესიით მუსიკის პედაგოგია, წლების განმავლობაში ასწავლიდა დიდი ჯიხაიშის სამუსიკო სკოლაში. მან ასევე რუსეთში, მაიკოპში მიიღო უმაღლესი განათლება და არის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. 20 წლის განმავლობაში იგი ოჯახთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა. რამდენიმე წელია, დაბრუნდა საქართველოში და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდა.

Facebook-ზე ლირიკული გვერდი _ "ვინც ჩემს გულს ეძებს, ლექსში იპოვის" _ შექმნა და მკითხველებს საკუთარი თუ მეგობარი პოეტების ლექსებით ანებივრებს. ერთი ამოსუნთქვით ნაწერი მისი სტრიქონები მხატვრული ფერებით ნაზავი და დახვეწილია.

"ზეცის კერპები ანთებენ სანთლებს,
მიმიძღვის მთვარე დიდი კელაპტრით,
მუზა კი მხარზე დამაჯდა, მანთებს,
ვერ მოვიშორე ლექსი ვერაფრით"...

პოეტური ბილიკებით მიმავალს მუზა თითქმის არასდროს ტოვებს და სულის ამოძახილიც ლექსებად იქარგება.

სოციალურ ქსელში თავისი ნიშა აქვს ქალბატონ მანანას _ ყოველი მშვიდობიანი დღისთვის მადლობას ეუბნება უფალს და სიყვარულით ესალმება მეგობრებს, ქართველ ხალხს და სამშობლოს. თავის საბავშვო გვერდზე იწვევს პატარებს და ნაირ-ნაირ ლექსებს, ზღაპრებსა და ამბებს სთავაზობს. საღამოს კი ძილი ნებისას და "სულ ბუსუნა-ბუსუნა სიზმრებს" უსურვებს.

ლექსებს ბავშვობიდან წერდა, თუმცა თავისთვის და არა ასეთი ინტენსივობით. ერთხელ, საბავშვო ლექსებით მოვიდა რედაქციაში, დასძინა, ახლახან დავიწყე ამ ჟანრში მუშაობა და ვფიქრობ, პატარებსაც მოეწონებათო.

ადრესატი ყოველთვის მისი შვილიშვილი, 2 წლის სოფია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და როგორც ამბობს, მხოლოდ კომპიუტერით ეკონტაქტება. Skype-ით ლექსებსაც უკითხავს და "იანანასაც" უმღერის, რაც ძალიან მოსწონს პატარა გოგოს.

"არ ვიცი, როდის შეძლებს სოფო მათ წაკითხვას, მაგრამ როცა რაიმეს ვწერ, სოფო მიდგას თვალწინ. მე მას ვუწერ, მას ვეფერები". _ განცდებს გვიზიარებს სოფოს ბებო.

ცოტა ხნის წინ 6 საბავშვო კრებული "სოფოს ბებო" გამოსცა მანანა ტონიამ. პირველ წიგნში _ "სოფო და სოკო" ლექსებია ყველაზე პატარებისათვის. მეორე წიგნში, რომელსაც "სოფომ გამოიცნო, შენ?" ჰქვია, ავტორის გამოგონილი გამოცანებია დაბეჭდილი, მესამე კრებულში _ "სოფოს ზღარბები" ზღაპრებს უყვება პატარებს. მეოთხე "სახალისო ანბანთქებაა". მეხუთე წიგნში 5-9 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის თემატური ლექსები, გამოცანები და რითმოგამოცანებია დაწერილი. მეექვსე წიგნიც იმავე ასაკის მოზარდებისთვის განკუთვნილ თემატურ ლექსებსა და მოთხრობებს მოიცავს.

"განათლებითაც, სულითაც, გულითაც პედაგოგი, მასწავლებელი ვარ. მინდა, ჩვენი მომავალი თაობა საუკეთესო ადამიანებად აღიზარდოს. არ იყვნენ აგრესიულები, ქრისტიანული წესით იზრდებოდნენ. ეს ჩემი დიდი სურვილია და ამიტომაც თითოეული სიტყვა დიდი ენერგეტიკით დავტვირთე. მინდა, ჩემი ნაშრომებიდან გამომდინარე, ბავშვს ანალიზის უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეს. სწავლების შედეგად თვითონ აწონ-დაწონოს, თვითონ გადაჭრას, რა უფრო უკეთესი იქნება, რომელია თეთრი და შავი.

აღზრდის პროცესი ისე უნდა წარვმართოთ, რომ პატარა, ძალდატანებით კი არა, თვითონ მიხვდეს, რა შეიძლება და რა არა. ამ მეთოდოლოგიით მაქვს ეს კრებულები გაკეთებული.

ქალბატონი მანანა კარგად იცნობს სკოლამდელი აღზრდის მეთოდებს. ამბობს, რომ ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, თუმცა, მეტი მრავალფეროვანი ლიტერატურის შეტანა საბავშვო ბაღებში, უფრო გაადვილებდა და საინტერესოს გახდიდა აღზრდის პროცესს. მკითხველს შევახსენებთ, რომ მის კრებულებს სპეციალისტები, ფსიქოლოგები გაეცნენ და მაღალი შეფასება მისცეს.

ჩვეულებრივ, წიგნების გავრცელების დროს მეტ-ნაკლებად წინააღმდეგობებს წააწყდა, მაგრამ აღმოჩნენ ისეთებიც, ვინც მის კრებულებში მორალურად, ზნეობრივად, ფსიქოლოგიურად გამართლებული სწავლების მეთოდები დაინახეს და თავიანთ სააღმზრდელო დაწესებულებებში ერთ-ერთ სამოქმედო ლიტერატურადაც გაიხადეს. მისი მკითხველები, ძირითადად, თბილისში მცხოვრები პატარები არიან. 30-ზე მეტმა საბავშვო ბაღმა შეიძინა ქალბატონი მანანას კრებულები. მოთხოვნა დიდია და ავტორს გადაწყვეტილი აქვს, განმეორებით დაბეჭდოს ისინი.

ყველა საბავშვო ბაღში ეწყობოდა მისი წიგნების პრეზენტაცია. პატარა მკითხველებმა სოციალური ქსელიდან უკვე იცოდნენ ქალბატონი მანანას ლექსები და ზეპირად უკითხავდნენ მას.

ჩემი გამოშვება აღარ უნდოდათო, _ გვითხრა. მან მონაწილეობა მიიღო აგრეთვე, თბილისში გამართულ საბავშვო პოეზიის საღამოზე, სადაც მისი ლექსებიც წაიკითხეს. პატარა მკითხველებს მადლიერების ნიშნად პოეტმა საკუთარი წიგნები უსახსოვრა.

სექტემბრისთვის ის კიდევ სამ სხვა კრებულს გამოსცემს.

"სასურველი იქნება, თუ სამტრედიაშიც იაქტიურებენ და თავიანთი აღსაზრდელებისთვისაც შეიძენენ ჩემს წიგნებს". _ სურვილს გამოთქვამს ჩვენი რესპონდენტი.

დიდაქტიკური ხასიათის მის კრებულებში ბავშვებს მარტივი, მათთვის გასაგები ენით ზნეობრიობის მაგალითებს უხვად აძლევს, შრომისა და სწავლის სიყვარულისკენ უბიძგებს გონებას უვითარებს.

როგორც წიგნის ანოტაციაში წერს ავტორი: "მეხუთე და მეექვსე კრებულები განკუთვნილია ბაღის უფროსი ჯგუფისთვის და დაწყებითი კლასებისთვის და მასში თავმოყრილია თემატურად დალაგებული სარესურსო მასალა: ლექსების, მოთხრობებისა და გამოცანების სახით, დართული გასაფერადებელი სურათებით, რაც კიდევ ერთ დავალებას წარმოადგენს ბავშვებისთვის, რომ უფრო მეტი დრო დახარჯონ მოცემულ რესურსზე და უკეთესად აღიქვან და შეისწავლონ გაკვეთილი".



მანანა ტონიას შემოქმედება მარტო საბავშვო ლიტერატურით არ შემოიფარგლება. მისი ლირიული ლექსები მოწონებით სარგებლობს და ხშირად ავტორს მეგობრები მისივე სტრიქონებით უხდიან მადლობას.

"არსებობს ხედვის და დანახვის უნარი, _ გვეუბნება იგი, _ ხედვა არ ნიშნავს, რომ დაინახე. მე მაქვს დანახვის, აღქმის უნარი". გვარწმუნებს, რომ ცხოვრება ძალიან ლამაზია და სიყვარული მნიშვნელოვანი რამაა. სწორედ სიყვარულის სიყვარულმა უბიძგა, სონეტების წერა დაეწყო. შექსპირს მაინც ვერ "გაექცა" და ცდილობს, მისეული სტილი დაიცვას. უკვე 100 სონეტი აქვს მზად და 15 აპრილს, საკუთარ დაბადების დღეზე, თბილისში წიგნის პრეზენტაციას მოაწყობს. სიყვარულის ზეიმი უნდა გავმართოო, _ გვითხრა. იმ 100 სონეტიდან ერთ-ერთს ამჯერად ჩვენს მკითხველებს შევთავაზებთ:

"გახსოვს, ვარდებზე რომ ვაწერდით, კარგო, ბარათებს?
გახსოვს, გვირილა გვკარნახობდა "მოსვლა-არმოსვლას?"
და მოუთმენლად რომ ვითვლიდით წუთებს, საათებს,
ერთად ველოდით თეთრ ალიონს და მზის ამოსვლას,
გახსოვს, ჭადარი გვევონა, რომ გვეტყოდა ახალს?
ან ტირიფები, ატირებულთ რომ ვამშვიდებდით,
ან ის ბარდნარი, სიხარულით მოკრეფდი მაყვალს,
ან ხეივანი, გადამტკბარი მწიფე შინდებით.
დროც ჩაიფურცლა ყვავილივით, ტკბილი წუთები
და ჩემი სახის ალმურები ელტვიან ღრუბლებს,
მზის სხივი მინდა, უჰაეროდ დავიხუთები...
დეპრესიიდან მოგონება მათავისუფლებს.
მორცხვი ატამი, ნებიერი კვირტთა ზმორებით,
აპრილში ისევ შეგვახსენებს, რომ კვლავ მოვედით".

მოქალაქეობრივი პოზიციებიდან მის შემოქმედებაში ასეთი სტრიქონებიც ამოიკითხება:

"დაუშვი ფარდა, თვითმარქვიების
სცენა უკუნით გადაიმოსა,
რა დროს ლექსია, ჟღერს რექვიემი
ქორალი, გუნდი და ლაკრიმოზა".

ამბობს, რომ პოეტი არ არის. პოეტი უფრო დიდია და განსაკუთრებული. თუმცა, არც მას სტოვებენ მუზები და მასაც ხშირად სტუმრობენ. ამის დასტური თუნდაც ის ერთ-ერთი ლექსია, რომელსაც მკითხველს წერილის დასასრულს ვთავაზობთ:

"ნიავო, რად მემდურები,
ჩამომიქროლე, ამშალე,
ჩემი ნახელნი გრძნობები
ქარივით კვლავ ამიშარე,
გამოგედევნო, რად ილტვი,
ცსდიო, ტრამალებ ნარბენსა
მაინც არ დაგიბრუნდები,
ვერ დაგიამებ დარდებსა,
ნიავო, სხვაგან იქროლე,
რად მეურჩები ბრაზითა,
სიყვარული რომ წამართვი
ფერებით თვალწარმტაცითა.
ახლა სალბუნად სულისა,
ჩემი ოცნების სიზმარო,
სჯობს, ცას კოპები შეუკრა
და წვიმა გამომიგზავნო".

სად წაიყვან სადაურსა

ცრემლიბით ცვარი ცოლი

(ლეო ჭეიშვილი _ არგენტინაში მოღვაწე ქართველი შემოქმედი)

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი მარიამ მარჯანიშვილი ახალგაზრდა მეცნიერია. იგი საინტერესო შრომების ავტორია. მისი კვლევის ერთ-ერთ საგანს ქართული ემიგრაცია შეადგენს. მან წიგნად გამოსცა არგენტინაში მოღვაწე ქართველი შემოქმედის ლეო ჭეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ბატონი ლეო კულაშიდანაა. ვფიქრობთ, წერილს, რომელიც ავტორმა ჟურნალში "ჩვენი მწერლობა" დაბეჭდა, სამტრედიელი მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა.

არგენტინაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, პოეტისა და მხატვრის ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილის შემოქმედება თითქმის სრულიად უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის მიზეზი უპირველესად, ისაა, რომ იგი დიდხანს იდგა არგენტინაში მოღვაწე გამოჩენილი მწერლებისა და მეცნიერების ვიკტორ ნოზაძის, აკაკი და თამარ პაპავების ჩრდილქვეშ, არადა, მისი 70-მდე ლექსი, მრავალი გრაფიკული ნამუშევარი და 37 სამეცნიერო ნაშრომი უდავოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას.

დაიბადა 1905 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში.

შეძლებულმა კომერსანტმა პორფილე ჭეიშვილმა თავისი ერთადერთი ვაჟი 1911 წელს არნოლდის ფრანგულ პრო-გიმნაზიაში შეიყვანა, რომელიც ბათუმში 1908 წლიდან ფუნქციონირებდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ახალდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა. იმავდროულად ფერწერით გატაცებული ჭაბუკი, ცნობილ მხატვარ ილიუშინთან ეწაფებოდა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ლეო ჭეიშვილმა საინტერესოდ გადმოსცა თავის "პატარა მოგონებაში" ("კავკასიონი" XIII. 1968). "მართალია ორი წელი დავყავი ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი და პირველი ჩემი კონტაქტი ჩვენს პროფესორებთან არ იქნება დღევანდელი დღისათვის საინტერესო. მაგრამ მაინც მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუვიწყარი, ჩვენი საამაყო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არაჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული მათემატიკის რთული ლექციები. ასევე, მუდამ დიდი პატივისცემით ვიხსენებ პროფესორ ბენაშვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ახალგაზრდა მსმენელებით"...

1926 წელს ლეო ჭეიშვილი, მამის რჩევით, უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოვიდა და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. იგი თავის დას, ეთერ ჭეიშვილს, 46 წლის შემდეგ, უცხოეთში მისი გამგზავრების შესახებ სწერდა: "ჩემო ეთერ, _ ეს უკანასკნელი სურათი დამაქვს გულში ამომწვარი, რომელსაც შენ ეხლა აგიწერ. იყო 14 იანვარი. ძველი სტილით ახალი წელი. ჩვენს სასადილო ოთახში საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. ბუხარში ბჟოლის კუნძი გუზგუზებდა და იქაურობას სიცოცხლეს აძლევდა, რადგან ყველანი ვდუმდით. იდგა განშორების წამი. წამი საბედისწერო, წამი წყეული. შენ მაშინ ოთხი წლის იყავ და სალომესთან ერთად ტკბილად გეძინა. თუ თვითოეული ჩვენგანი რას განვიცდიდით, ამის აღწერა და გადმოცემა არავის ძალუძს. ეს სურათი ყველა ჩვენგანს, თავისებურად ჩარჩა გულში. მხოლოდ დედის გული გრძნობდა ალბათ, რომ ის მის შვილს უკანასკნელად ხედავდა.

...მამა გაცივებული იყო და სადგურზე ვერ გამომაცილა. მან სამჯერ წაღმა შემომაბრუნა და შუბლზე მაკოცა. ის კოცნა ისევ ისე იწვის იმავე ადგილას, როგორც მაშინ.

_ "იარე სწორი გზით, ჩემო შვილო!" _ მითხრა მამამ.

_ ვფიცავ მის სახელს, რომ მთელი ამ წლების გასწვრივ ვიარე სუფთად და შეუბილწავად ჩემი ცხოვრების გზაზედ.

...ჭიშკართან მომაცილეს დედამ და ნინო ბებიამ. უკანასკნელად კიდევ ერთხელ ჩამიკრეს გულში. ზურგი შევაქციე საყვარელ ადამიანებსა და ჩემს კუთხეს სამარადისოთ!" 9.2.72 ბუენოს-აირესი.

ასე რომ, 21 წლისამ 1926 წლის 14 იანვარს დატოვა მშობლიური კუთხე. მისთვის სამშობლოში დაბრუნების გზა უსასრულოდ გრძელი გამოდგა, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი.

უცხოეთის ცის ქვეშ დრო შაქარყინულივით ხელში ჩაადნა. ევროპაში ცხოვრების ათი წელი ნიჭიერმა და ბეჯითმა ჭაბუკმა მიზანმიმართულად გამოიყენა. გერმანიაში ჯერ ბერლინ-შარლოტენბურგის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. 1935 წელს დოქტორ-ინჟინრის ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ კაიზერ ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში მიიწვიეს, რომელსაც დღეს მაქს პლანკის სახელი ჰქვია.

"ეთერ, საყვარელო! _ სწერდა დას _ რაც დრო გადის, როგორც ძველი ჭრილობა, ისე იხსნება ჩემი გული და ტირის სამშობლოსა და თქვენთვის. რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც ლურჯი ფერის პასპორტი მეჭირა ხელთ და სასწავლებლად წამოვედი გერმანიისაკენ. რა უბედური ვარ ახლა, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა და მის უაზრობას ვხედავ, სამშობლოს გარეშე არ არსებობს არაფერი..." 1974, 13. 11. ლომას-დე-სამორა.

"ღმერთ და სამშობლო დაკარგული, სულით ობოლი ადამიანი მუდმივი ტანჯვისა და წამებისათვისაა განწირული, იგი ხსნას არ ელოდება". _ ასეთი იყო ის მკაცრი რეალობა, რომელმაც ლეო ჭეიშვილი ოჯახსა და სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუერთა. ასე რომ, ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას ისევ ემიგრანტობა არჩია. იგი დაუახლოვდა აკაკი პაპავას ოჯახს, სადაც დიდი სითბო და სიყვარული იპოვა. მალე, 1938 წელს, პარიზში ტურფა პაპავაზე ჯვარი დაიწერა და ამ ოჯახის წევრიც გახდა.

ტურფა გახლდათ ცნობილი ემიგრანტი მწერლების _ აკაკი პაპავასა და თამარ გოგოლაშვილი-პაპავას _ უფროსი ქალიშვილი. მან ლეო ჭეიშვილზე სამი წლით ადრე დატოვა საქართველო.

წერილების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილს ხუთი შვილი შეეძინათ: უფროსი

გაგრძელება გვ. 10

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ სიხვრე ასე სწრაფად მომეპარებოდა

გვეუბნება რესპონდენტი და სულის ფსკერზე შემორჩენილი გაუხუნარი მოგონებების შესახებ მოგვითხრობს. დიდი ოჯახის სტუმრები ვართ, უფრო სწორად, დიდებულის.

“ედემის ბაღსა” და “სულიერების ოაზისსაც” ეძახდნენ სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი კაცის, ილია ოდილავაძის კარ-მიდამოს თანაქალაქელები. მართლაც, დეკორატიული მცენარეებით, სხვადასხვა ჯიშის ხეებით დატვირთული ბაღი, რომელსაც ბატონი ილია რუდუნებით უვლიდა, დამსახურებულად იქცევს გამვლელთა ყურადღებას.

შემფასებელი და მომწონებელი არასოდეს აკლდა ოდილავაძეების სახლს. სტუმართმოყვარეობით გამორჩეული მათი ოჯახი არამარტო საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრების, დელეგაციების საუბრის თემადაც ქცეულა. ბევრს ჰყვებოდნენ ილია ოდილავაძის თამადობის კულტურაზე, ტრადიციებზე, მის მოწესრიგებულ, აკურატულ ცხოვრების წესზე, რაც, დაგვერწმუნებით, შესაფერისი ოჯახური გარემოსა და ერთგული მეუღლის გარეშე ყოვლად შეუძლებელი, წარმოუდგენელიც კია.

თინა წითელიშვილი სრულიად ახალგაზრდა დაქორწინდა ილია ოდილავაძეზე. დედისერთა ვაჟის გაბედნიერებას მშობლები განუზომელი სიხარულით შეხვდნენ და ქალბატონი თინაც შვილად მიიღეს. დასძენს კიდეც ჩვენი რესპონდენტი: “სიტყვები დედამთილი, მამამთილი ჩემთვის უცხოა. ენით აღუწერელია ის ურთიერთობა, რაც გვაკავშირებდა”.

თბილისის ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული თინა წითელიშვილი დიდი პატივისცემით, მოკრძალებით ჩაება ოდილავაძეთა ფესვმაგარი კერის ცხოვრების ფერხულში და რამდენიმე ათეული წელია, სამაგალითოდ, უკვე მისაბაძი დედისა და ბებიის ამპლუაში აგრძელებს იმ საქმეს, რასაც ტრადიციული ოჯახის დიასახლისობა ჰქვია.

დედისა და ქალთა დღის მოახლოებასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, საყვარელი მოსწავლეებისთვის, ახლობელ-მეგობრებისთვის ღვაწლმოსილი პედაგოგი თინა წითელიშვილი შეგვეხვედრებინა.

თინა
წითელიშვილი

_ 1930 წელს სოფელ გომში დავიბადე. მშობლები მშრომელი პიროვნებები გახლდნენ. ისინი მინერგავდნენ ბავშვობიდანვე საქმის სიყვარულს, მუყაითობას. ჩვენი ეზო სავსე იყო ხილის, ვაზის მრავალრიცხოვანი ჯიშის ხეებით. მე, როგორც შემეძლო, გვერდში ვედექი დედ-მამას და დღეს, თუკი რაიმეს წარმოვადგენ, ეს მეტწილად მათი დამსახურებაა.

ომის პერიოდი რთული იყო ყველა ქართველისთვის, არც შემდეგ წლებში ცხოვრება ყოფილა მარტივი. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა დავიწყე და მთელი ოცდაათი წელი ახალგაზრდების აღზრდას მივუძღვენი.

ქალბატონი თინა დღემდე ახსოვთ ყოფილ რკინიგზის მე-13, ამჟამად მე-10 საჯარო სკოლაში. როგორც თავად ამბობს, მისი თაობისანი მრავლად აღარ არიან, მაგრამ ვინც დარჩა, ყველას უყვარს რუსული ენისა და ლიტერატურის უბადლო მცოდნე, უღალატო, სიკეთის მთესველი თინა მასწავლებელი.

რაკლთან,
მარინა ნანეიშვილთან

_ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი ვიყავი მთელ სკოლაში. მოწიწებით ვათვალიერებდი საკლასო ოთახებს, ვაკვირდებოდი პედაგოგებს და ვეცნობოდი ახალ გარემოს. ვერიდებოდი თვალის დახამხამებაში გაფრენილან წლები, თუმცა ქალბატონ თინას სამსახურში მისვლის პირველი დღე და ის კოლექტივიც ნათლად ახსოვს, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი სკოლის, ქალაქის ისტორიაში.

თვალის დახამხამებაში გაფრენილან წლები, თუმცა ქალბატონ თინას სამსახურში მისვლის პირველი დღე და ის კოლექტივიც ნათლად ახსოვს, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი სკოლის, ქალაქის ისტორიაში.

ილია ოდილავაძე და
ნოდარ კოხრეიძე

მოსწავლეებთან ზღვარდაცული მეგობრობის წყალობით მან ბევრს მიაღწია, სამუდამოდ დაისადგურა ნამოწაფართა გულებში უტყუარი რჩევა-დარიგების მიმცემის, დედა-შვილური მასწავლებლის ადგილი.

_ მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, კაცთმოყვარეობას ვასწავლიდი. ისინი ყოველთვის მიმართლებდნენ იმედებს, გაწბილებული არავის დავუტოვებივარ. სამასწავლებლოში უფროსი თაობის გვერდით ჯდომას, მოკრძალებულათ, შესვენებაზე კედელთან ავიტუზებოდი და ზარის დარეკვისთანავე კლასს მივაშურებდი. შეუძლებელია, არ მოვიგონო ბატონები: ანდრო კანდელაკი, შალვა ჩიხლაძე, ბადრი ტონია... ადამიანები, რომლებიც სკოლის ისტორიის ნაწილად იქცნენ.

გაკვეთილის პროცესი ცალკე აკადემიაა, აუცილებელია, კარის ზღურბლთან ყველა პირადი განცდა დაივიწყო, მოსწავლეებთან ახალი ემოციით უნდა შეხვიდე. რამდენჯერ სიცხიანსაც ჩამიტარებია გაკვეთილი, მაგრამ არასოდეს მინანია. მიყვარდა, მიყვარს და მუდამ მეყვარება ჩემი, მასწავლებლის საპასუხისმგებლო, ამავდროულად სასიამოვნო პროფესია. _ გვიამბობს იგი.

წარმატებებისაგან თავბრუ არასოდეს დახვევია თინა წითელიშვილს. სხვების წინ, სხვებზე მაღლა თავის წარმოჩენა, რისი საბაბიც ნამდვილად ჰქონდა, უცხო იყო მისთვის.

ილია ოდილავაძე და
ნოდარ კოხრეიძე

წლები მიდიან, მაგრამ მათი სახეები დღესაც ისეთი სიცხადით მესახება, როგორც საგაკვეთილო პროცესისას, სკოლის მერხზე.

მსახიობები: დავით დვალიშვილი, დავით ცხვარაძე; ხელმძღვანელ-მუშაკები: მერაბ სტურუა, ბეჟან გოგია; ბიზნესმენ-მეცენატები: ზვიად ვაშაკიძე, დიდიმ სტურუა... ქალბატონი თინა სიამაყით იგონებს ყოფილ მოსწავლეებს, რომლებსაც დიდი მონდომებით აყვარებდა ლერმონტოვისა და პუშკინის ენას.

_ 55 წლის ასაკში დამსახურებულ პენსიაზე გავედი. ნაცნობი საოჯახო საქმე, ჩემთვის ერთადერთი, განსაკუთრებული საზრუნავი გახდა.

გასულ საუკუნეში, სამტრედიაში ჩატარებული თითქმის ყველა საქმიანი შეხვედრის მეორე განყოფილება აქ იმართებოდა. ნონა გაფრინდაშვილით დაწყებული ედუარდ შევარდნაძით დამთავრებული, ვინ არ არის ჩვენთან ნამყოფი. რაიონის თავკაცად ახლად მოვლენილ ნოდარ კოხრეიძესაც ოდილავაძეების ოჯახმა უმასპინძლა. ზოგადად, სტუმართან ისეთი სითბო უნდა გამოავლინო, როგორიც ნათესავთან და ახლობელთან. _ გვესაუბრება ქალბატონი თინა.

არაერთი ფაბრიკა-ქარხნის მთავარი ინჟინრის, დირექტორის თანამდებობაზე ნამუშევარი, დამაშვრალი ინჟინერი, ბატონი ილია ოდილავაძე 2011 წელს გარდაიცვალა. ორი შვილის დედამ, ხუთი შვილიშვილის ბებიამ, შთამომავალთა ნუგეშით სძლია ტკივილს და დღემდე მათი იმედით ცხოვრობს.

თინა წითელიშვილი “სამტრედიის მაცნეს” მკითხველთა იმ რიგებში აღმოჩნდა, ვინც აბზაც-აბზაც ეცნობა გაზეთის ყველა გვერდს, ტკბება ქალაქში მიმდინარე სიახლეებითა და სასიკეთო ძვრებით მოგვრილ სიხარულს იზიარებს.

ის სიამაყით იგონებს რედაქციის კოლექტივის წევრებს: სამტრედიის ისტორიაში პირველ დიპლომირებულ ჟურნალისტს, ანზორ გრიგოლიასა და ენციკლოპედიური განათლების ოთარ ნაფეტვარიძეს, ამავდროულად კი გვეუბნება: _ თავს ვიწონებ, რომ სამტრედიაში ასეთი დახვეწილი, მაღალპოლიგრაფიული გაზეთი გამოდის.

ჩვენს შეკითხვაზე: რაზე ფიქრობს, რა ენატრება და რისი თქმა სურს თინა წითელიშვილს, რესპონდენტი გვპასუხობს: _ ხშირად მესიზმრება სკოლა, თითქოს ზარი ირეკება, ჟურნალს ვერ ვპოულობ ან გაკვეთილზე მაგვიანდება. კითხვით ვკლავ დროს, საბედნიეროდ, უამრავი წიგნი იბეჭდება, რაც ძალიან მსიამოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ასაკში შევედი, ფასეულობები, ღირებულებები არ შემცვლია. როცა ტელევიზიიდან, პრესიდან უსიამოვნო ფაქტებს ვიგებ, გული მტკივა. სამარცხვინოა, სხვის შეცდომებში კირკიტი, როცა საკუთარს ვერ ვხედავთ. კაცობრიობამ დევიზად უნდა გაიხადოს ჰიუგოს სიტყვები: “სხვათა ბედნიერებას რომ ვეძებთ, საკუთარს ვპოულობთ”.

ჟურნალისტი

დასაწყისი გვ. 9

ქალიშვილი ნინო _ 1939 (14. 02) წელს დაიბადა, მისი მომდევნო ტურფა-მარიამი (პუსი) _ 1942 (14. 10) წელს, ხოლო მზია _ თამარა (ზიკუნა-2) _ 1944 (5. 3) წელს.

ასე რომ, სამივე ქალიშვილი გერმანიაში დაიბადა, სადაც აკაკი და თამარ პაპავებთან ერთად დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. მათთან იყრიდა თავს ევროპაში მიმოფანტული მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ხშირი სტუმრობის მიზეზი გახლდათ პაპავების მიერ 1937 წელს ბერლინში შეძენილი სიონის ეკლესიიდან გატაცებული საკურთხევლის გადასაფარებელი. ქართველები მის სანახავად პაპავებთან ისე დადიოდნენ, როგორც ეკლესიაში.

როცა ევროპაში ომის ქარტეხილმა გადაიქუხა, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისთვის მეორე მსოფლიო ომი ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი გახდა. რადგან “ერთ მხარეზე იდგა საბჭოეთი, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, ხოლო მეორე მხარეს _ გოეთესა და კანტის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა, “ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი”.

ლეო ჭეიშვილის აზროვნებაც გერმანულ გარემოცვაში ჩამოყალიბდა. იგი 21 წლისაც არ იყო, როდესაც ამ ქვეყანაში ჩამოვიდა. გერმანიის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორ-ინჟინერმა ათი წელი იმუშავა ცემენტის, კერამიკისა და მატერიის სტრუქტურათა რენტგენის სხივებით გამოკვლევის დარგში, დაწერა და გამოაქვეყნა 12 სამეცნიერო ნაშრომი. აქვე აიღო მაღალი ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის პატენტი და გამოიგონა ვიბრაციული ვისკოზიმეტრიც.

1947 წელს გერმანიიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მუშაობდა პარიზის პორცელანის ქარხნის ტექნიკურ დირექტორად. ომით დანგრეულ ევროპაში ჭირდა ცხოვრება. მძიმე ეკონომიკურმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ცხოვრების უკუღმართობამ ლეო ჭეიშვილი მალე სულ სხვა მხარეს, ოკეანის გაღმა გადასტყორცნა.

1948 წლიდან 1960 წლამდე, როგორც სილიკატური ქიმიის დარგის აღიარებული სპეციალისტი არგენტინაში, მინერალოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სადაც გამოყენებული მასების, ჭიქურებისა და ფერების (ჭიქურის როგორც ზედა, ისე ქვედა ფერების) კომპოზიცია მის მიერ იქნა დამუშავებული. ასევე შექმნა საგნების მოდელები და დეკორაციების ნიმუშებიც.

1960 წლიდან მეცნიერული მოღვაწეობა ისევ გააგრძელა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში ქიმიისა და კერამიკის კათედრაზე პროფესორად. ეს მეტათ საამაყოა ჩვენთვის, ქართველებისათვის”... პაპავა თ., ფონდი 28 103/15.

ათეული წლები მონაწილეობდა ლეო ჭეიშვილი უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იგი 37 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, რომელთა ერთი ნაწილი დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

“...ყველა ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად ჩათვლიდა თავს, _ სწერდა დას ეთერ ჭეიშვილ-ყიფიანისას. ქართველი მეუღლე, ხუთი ჯანმრთელი შვილი, ორი უსაყვარლესი შვილიშვილი. ყოველთვის მაღალი “პოსტები” ქარხნებში, უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ მერწმუნე ჩემო გულის ნაწილო დაო, რომ არა ვარ ბედნიერი, ვარ წამებული” 12.7.71. ლომას-დე-სამორა.

ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერა და ვერ იხსნა ლეო ჭეიშვილი იმ მძიმე სენისაგან, რომელიც უცხოეთში შეეყარა. ეს იყო სამშობლოს სევდა, სევდა გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო, რომელსაც ბერძნებმა უბრალოდ ნოსტალგია უწოდეს.

“დაო ეთერ! შენ იცოდე, შენ იცოდე მარტო, თუ როგორ ვარ ჯვარცმული _ ვცოცხლობ და არ ვკვდები... გული ტირის საყვარელო ჩემი მიწისათვის. რა ვქნა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა _ ცრემლი, მწუხრი და ტანჯვა. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება:

ბევრი ვიარე მწუხრით დაღლილმა,
მტირალ ტირიფთან ჩამოვჯექ ქვაზე,
თვალდახუჭულმა ნიავს შევჩივლე:
ვარ წამებული გაკრული ჯვარზე...

როდესაც ჩამოხვალ გაგატან ჩემს ლექსებს. კარგია თუ ცუდია, ერთი რამ ახასიათებს: გადაკარგულის დაუსრულებელი გულის ტკივილი თავისი მიწის მიმართ და გაუთავებელი ცრემლების ღვრა, თავიანთი სისხლისა და ხორცის დაშორებით გამოწვეული. ვინ იცის იქნებ, ერთხელ დაიბეჭდოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მიწის ღალატი, მას სიკვდილამდი ჯვარცმულად გახდის. ვერავითარი რამ ვერ შეცვლის დაკარგულ მიწას. იცოცხლებს დამჭღნარი, სანამ საბოლოოდ არ გახმება და წაიქცევა ფესვებდაჭრილი, რომელიც საყვარელ მიწაში დატოვა. მირბიან ათეული წლები და მიდის ცხოვრება. 1910 და 1920-ში მანდ ვიყავი, 1930-40-ში გერმანიაში, 1950-ში აქ (არგენტინა), 1960 _ ჩრდილო ამერიკაში, 1970 და 1980 ისევ აქ. სად ვიქნები 1990-ში? მაშინ მე ვიქნები 85 წლის და შესაძლოა ჩვენს სახლში სამტრედიაში მიხილოთ” 26.2.73. ლომას-დე-სამორა.

სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს, სულს უფლეთდა და აფორიაქებდა. შინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გაშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება მან პოეტურსა და ფრთიან სტრიქონებს მიანდო, რაც კარგად ჩანს ლექსში “ცხოვრების ფურცლები”:

გადავშლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,
აწ გაცვეთილებს და გაყვითლებულს.
სევდამორევით დავხუჭავ თვალებს
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს.
ვით დილის ნისლი პირველ სხივებზე,
ისე გამიქრნენ ჩემი დღეები _
გულგატეხილი ცხოვრების გზაზე
ჩაფიქრებული მივეშურები.

საერთოდ უნდა ითქვას, როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: “ემიგრაციაში მცხოვრები არაერთი ჩვენი თანამემამულისათვის მათი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ეროვნულ-პატრიოტული ტკივილის გამოხატვის უმთავრეს ფორმად პოეზია იქცა.

მარიამ მარჯანიშვილი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

"გიორგი მელია _ მე მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ"

18 წლის გიორგი მელია საქართველოს ჩემპიონი გახდა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასპარეზობა 30 და 31 იანვარს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა. გიორგი მელია 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მან 4-ვე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, ხოლო ფინალში აჭარელ გოქაძეს 4 : 0 სძლია.



გიორგი მელიამ ამ გამარჯვებით ევროპისა და მსოფლიოს საგზურები მოიპოვა. უკვე ცნობილია, რომ ევროპის ჩემპიონატი თურქეთის ქალაქ სტამბულში ივნისში გაიმართება, მსოფლიო კი აგვისტოში, ბრაზილიაში.

გიორგი მელია სამტრედიაში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა, მისი ოჯახი გაგრიდან დევნილია. გიორგიმ მე-3 საჯარო სკოლა დაამთავრა. ჭიდაობას კი მე-4 კლასიდან შეუდგა. მისი პირველი მწვრთნელი გია ვახტანგაძეა. ბატონი გია ამჟამადაც აგრძელებს გიორგი მელიასთან მუშაობას და მას პერსპექტიულ სპორტსმენად მოიაზრებს:

"გიორგი მელიას ფიზიკურ მონაცემებს მისი პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა ემატებოდა, რამაც შედეგიანი გახადა სპორტსმენის წარმატება. გიორგი წინა წლებში საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. 2 წლის წინ იგი იყო გრან-პრის მედლის მფლობელი ქალაქ ბაქოში, ასევე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე, სადაც ასპარეზობებს მხოლოდ ტრავმის გამო გამოეთიშა. 31 იანვარს ფინალში გიორგის გამარჯვება ასევე იყო სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" წარმატება, ვინაიდან გიორგი ამ სკოლის აღზრდილია. ამდენად, მე, როგორც გიორგი მელიას მწვრთნელი, თავს უფლებას ვაძლევ და საჭიდაო კლუბ "ფალავანს" ვულოცავ მისი აღზრდილის მორიგ გამარჯვებას".

სულ ერთი წელი არ არის გასული, რაც სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა საჭიდაო კლუბი "ფალავანი", რომელსაც ახალგაზრდა კაცი, წარსულში ტიტულოვანი სპორტსმენი ირაკლი მელაშვილი ჩაუდგა სათავეში. გიორგი მელიაზე მასაც დაუგროვდა სათქმელი: "გიორგი, შემიძლია, დავახასიათო, როგორც პერსპექტიული სპორტსმენი. იგი საკმაოდ გონებაგახსნილია, რაც უდავოდ ეხმარება სპორტული წარმატებების მიღწევაში, შრომისმოყვარეა. მე მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ".

ნინო ნანიტაშვილი

ის კაცი იყო
კაცური კაცი, ინტელიგენტი.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ბატონი სოფრომ (სოსო) ხაჟალია სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ "წინსვლას" რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, იყო სამტრედიის სტამბის დირექტორი, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი...

საზოგადოებრივი დავალების გარეშე თითქმის არასოდეს ყოფილა. შეეძლო, უპრობლემოდ შესულიყო პოლემიკაში განსხვავებული (იდეოლოგიური) აზროვნების პიროვნებებთან, მიეცა მათთვის მამა-შვილური, მეგობრული რჩევა-დარიგებები. მისი ეს თვისება განსაკუთრებით გამოვლინდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოში ახალი ძალით აღორძინდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ბატონ სოსოს რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობა მაშინ მოუხდა, როცა აქ უფროსი თაობის ჟურნალისტები მოღვაწეობდნენ. დიდია ბატონი სოსოს პირადი წვლილი იმ წარმატებებში, რასაც მაშინ გაზეთი და რედაქცია აღწევდა. საკუთარი ხელწერა, ღირსეული კვალი დატოვა 85 წლის გაზეთის ისტორიაში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირების წევრმა, ბატონმა სოსო ხაჟალიამ.

იუმორი უყვარდა ალალი გულის, სუფთა სინდისის კაცს.

რაც შეეხება სამტრედია და სამტრედიელები, თავდავიწყებით უყვარდა და ვერ წარმოედგინა ისე კომფორტულად ვერსად თავი, როგორც სამტრედიაში.

ჯან-ღონით აღსავსე, გარეგნულად ბრგე და ხალისიანი წლების წინ მოულოდნელად განერიდა წუთისოფელს. მისმა გარდაცვალებამ ბევრი აატირა, ბევრს დასწყვიტა გული.

ამ დღეებში ჩვენს უფროს კოლეგას, ღირსეულ ქართველს, ბატონ სოსო ხაჟალიას 80 წელი შეუსრულდებოდა. მცირე მოგონებაც ამ გარემოების გამო დაიწერა.

ნათელში დაავანოს უფალმა მისი სული.

ლევან გაბეჩავა

სურათზე, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ "წინსვლას" ფოტოკორესპონდენტ, ბატონ რომან ბექაიას მიერაა გადაღებული, აღბეჭდილნი არიან რედაქციაში ერთ-ერთი შეხვედრის მონაწილენი _ მარცხნივ პირველი ბატონი სოსო ხაჟალია.

საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად

7 თებერვალს მუნიციპალიტეტის პირველობა ჩატარდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მასში პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. 2001-2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ასპარეზობა ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მსაჯთა კორპუსმა, რომელსაც კლუბ "ფალავანის" დირექტორი ირაკლი მელაშვილი ხელმძღვანელობს, გამარჯვებულები გამოავლინა: 26 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-2 ადგილი დაიკავა გიგა დუმბაძემ, 40 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-2 ადგილის მფლობელი გახდა ბექა მუქერია, 35 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა ზაურ კიკნაძემ, 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზურაბ ნიკურაძე მე-3 ადგილზე გავიდა, 29 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვალერი ნარიშელაშვილი პირველი ადგილის მფლობელი გახდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვაჟა ჯანჯალიამ პირველი ადგილი დაიკავა, 29 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილის მფლობელი ემზარ გაბუნია გახდა.

29 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ლუკა სიხარულიძეს ხვდა წილად, 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-3 ადგილზე გიორგი ჩერქეზია გავიდა. ყველაზე პატარა მონაწილე 4 წლის ავთანდილ სირაძე იყო, მან 20 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა. ყველა მონაწილეს ერთი მწვრთნელი ჰყავს, მალხაზ მხეიძე იმავდროულად კლუბ "ფალავანის" მწვრთნელიცაა, წარსულში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

"სამტრედიის მაცნემ" მუნიციპალიტეტის პირველობაზე კომენტარი სთხოვა მამუკა უღრელიძეს, კლუბ "ფალავანის" მწვრთნელს, რომელიც ასპარეზობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ: "შეჯიბრმა გამოავლინა სპორტსმენები, რომლებიც მომდევნო ჩემპიონატში საქართველოს პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას. ასპარეზობებმა მომზადების კარგი დონე აჩვენა, რაც მეტყველებს მონაწილეთა და მათ მწვრთნელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგებზე. მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა, გამოვხატო პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მიმართ. ქალბატონი ხათუნა ფაილაძე უანგაროდ გვითმობს სკოლის სპორტულ დარბაზს, სადაც მოზარდები სპორტულ წვრთნას გადიან".

ნინო ნანიტაშვილი

და რად გიკვირს, ყველა ქალზე უფრო დედას რომ უყვარდე

დღეს პაატა თელიას დაბადების დღეა. ძნელია, მის მაგიერ გაზაფხულზე მოეფერო ყვავილებს, ზაფხულსა და ზამთარში _ წვიმას და თოვლს, შეხედო სათუთად ამოტვიფრულ შვილის სახეს და მტვერი არ მიაკარო. ამას ყოველდღე დედა აკეთებს. პაატას დედა, რომლისგანაც ისწავლი მოთმინებასა და გლოვას.

პაატა ცხოვრებაში დინჯი, აუჩქარებელი ყმაწვილი იყო, მის საოცარ გარეგნობას ლამაზი სული ამშვენებდა. ყოველთვის ტკბილი მოსაუბრე, სკოლაშიც გამორჩეული, ნამდვილი ჯენტლმენი, გოგონების თავბრუდამხვევი მუზა და საოცნებო სასიძო იყო.

პაატა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა. ის ყველგან კეთილსინდისიერი და სამაგალითო ბიჭად იყო აღიარებული. მომავალზე ფიქრმა ცოტა გრძელი გზა აარჩევინა, გზა, რომელიც უკუნი აღმოჩნდა. შორმა მანძილმა ვერ გაანელა ოჯახის მონატრება, ის ყოველდღე ტელეფონით ეფერებოდა მონატრებულ დედ-მამას და მის საფიცარ ერთადერთ ულამაზეს დაიკოს.

15 ივლისს პაატას ხმა შეწყდა სანქტ-პეტერბურგიდან. იმ ქალაქს ბევრი ქართველი ბიჭის სიცოცხლე ეწირებოდა და არც პაატა შეიქნა გამონაკლისი. უკან მიპარვით მალულად ჩაკლეს კიდევ ერთი ქართული გენი. არ დაინდეს დედის 15 წლის უნახავი შვილი, რომელსაც ზაფხულში ელოდებოდა.

პაატა მთელმა ქალაქმა გულით დაიტირა. ჩვენ კი დაგვიტოვა შეუდარებელი ტკივილი. ჰაერივით მსუბუქი იყოს პაატა თელიას საფლავზე დაყრილი მიწა. ის მისი ახლობლების უსაშველო მონატრება და დაუსრულებელი ტკივილია.

ოჯახი

ტკივილიანი მილოცვა გივი ნოდიას

ჩემო საყვარელო მამა, 6 თებერვალი შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეორე წელია, უშენოდ ვხვდებით. აქ რომ ვართ, სოფელში გვგონიხარ, იქ მივალთ და, არა ხარ. ძალიან ძნელია უშენობით გამოწვეული გულისტკივილი. ყველას ძალიან გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, ჩვენთან რომ არ ხარ.

მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და მოგიგონებთ მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით.

აქ ძალიან დაღლილი იყავი ცხოვრებისაგან და შრომისაგან. იქ მაინც იძინე მშვიდად შენს მარადიულ სასუფეველში. ნათელი და სანთელი არ მოგაკლოს უფალმა. ძალიან გვიყვარხარ.

მეუღლე ლენა ნოდია, შვილები, შვილიშვილები ოჯახებით

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მარინა თევზაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ბატონი

აკაკი სანიკიძე

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

გიგანტი ბიბილეიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ბატონი

აკაკი სანიკიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ეს ფოტოც ისტორიას ჰყვება

მიმდინარე წლის 9 მაისს 70 წელი სრულდება კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახული სისასტიკის მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ფოტოზე გამოსახულთაგან ერთი სამტრედიელი, მეორე ჩოხატაურელი, მესამე კი ხობის რაიონის მკვიდრი იყო. სამივენი სამშობლოს სიყვარულით გულანთებულები ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, მტერი საკუთარ ბუნაგში გაანადგურეს და მშვიდობით დაბრუნდნენ მშობლიურ კერაზე.

სურათზე: სოლომონ ზარბაზოია (ჩოხატაური), პასო კრავეიშვილი (სამტრედია), ოთარ ბებურია (ხობი).

ფოტო მოგვაწოდა რომან ჩაჩუამ

შეცდომები, რომლებსაც ვუშვებთ საუზმის დროს

ბევრი ადამიანი არ საუზმობს, რასაც შემდეგნაირად ხსნიან: ყოველთვის, როცა ვსაუზმობ, მალე მშივდება. საქმე კი ისაა, რომ მათ არასწორად შეარჩიეს საუზმისთვის პროდუქტები.

გთავაზობთ შეცდომებს, რომლებსაც ვუშვებთ დილის მენიუს შერჩევის დროს.

არასაკმარისი ცილა. რძეში ჩაყრილი ''ბურბუშელები'' ერთი შეხედვით სწორი არჩევანია. 1 თეფში რძე უდრის 8 გ. ცილას, მაგრამ რძეს ბოლომდე ხშირად არ ამთავრებენ. ცილა შეითვისება გვიან. ვიდრე ნახშირწყლები. ასე რომ, დაუმატეთ თქვენს მენიუს მოხარშული კვერცხი. 1000% ცილა შეგიძლიათ მიიღოთ ასევე ერთი ნაჭერი ტოსტით, რომელსაც არაქისის პასტას წაუსმევთ.

უჯრედისის ნაკლებობა.

მშრალ საუზმეში ბევრი შაქარია, რომელიც მალე შეითვისება, ამიტომ მალე გვშივდება. და პირიქით, რაც უფრო მეტია უჯრედისი, მით მეტ ხანს არ მოგშივდებათ. დაიმახსოვრეთ მშრალი საუზმის წესები: მინიმუმ 5 გრ. უჯრედისი და ნაკლები შაქარი

ცხიმის ნაკლებობა. უცხიმო პროდუქტების მიღებიდან 1 საათის შემდეგ თქვენ ისევ მშიერი იქნებით. ვნახოთ ვითომ ჯანმრთელი საუზმე: უცხიმო იოგურტი, მშრალი საუზმე, სად არის ცხიმი? საკმარისია მივიღოთ 2%-იანი იოგურტი, ან დავამატოთ ცოტა თხილი. უმნიშვნელო რაოდენობით ცხიმის მიღებაც დიდი ხნის განმავლობაში შეითვისება.

არასაკმარისი საკვები. მიუხედავად იმისა, რომ ხილი მდიდარია უჯრედისით, ვიტამინებითა და მინერალებით, ის მაინც არ არის საკმარისი სრულყოფილი საუზმისთვის. დღევანდელი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, დილით გადარბენაზე ვართ და ვაშლითა და ბანანით ვკმაყოფილდებით. მაგრამ, თუ დავჯდებით და მშვიდად ვისაუზმებთ იგივე პროდუქტებით და მივიღებთ 300-400 კალორიას, მეტად დანაყრებულად ვიგრძნობთ თავს.

ცოტა გვიან. რეკომენდებულია ვისაუზმოთ გაღვიძებიდან ერთ საათში, თუ ეს შესაძლებელია. დაიმახსოვრეთ: საუზმის მიზანია _ მივცეთ ორგანიზმს ენერგია. თუ საუზმის დრო მიუახლოვდა სადილობის დროს, ის აღარ ასრულებს ეფექტურად თავის ფუნქციას. ისიც გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი საუზმე სჯობს მის საერთოდ არარსებობას.

რომელია ყველაზე სასარგებლო პროდუქტები საუზმისთვის?

შვრია _ ის ძალიან სასარგებლო პროდუქტია და აუცილებელია კანის სილამაზისა და კუჭის ჯანმრთელობისთვის. თუ შვრიის ფაფა არ გიყვართ, შეეცადეთ სხვადასხვა გემრიელი დანამატების წყალობით მაინც ჩართოთ დილის რაციონში. დაამატეთ შვრიას ქიშმიში, თაფლი, სხვადასხვა ჩირი, კენკრა, დაჭრილი ხილი, ნიგოზი, ნუში, შოკოლადი, კეფირი, ვანილი, დარიჩინი და ა. შ. თქვენი გემოვნების მიხედვით.

ხაჭო _ ნოყიერი, სასარგებლო და ჯანსაღი საუზმეა. თუ გსურთ რომ დილის ულუფა კიდევ უფრო მეტად გემრიელი გახადოთ, დაამატეთ მას თაფლი, თხილეული, ბანანი, კენკრა, ჩირეული და ქიშმიში. ძალიან გემრიელია ხაჭო მწვანილებითაც. სცადეთ კამის დამატება, ცოტა მარილი და პილპილიც დააყარეთ და სრულმარცვლოვანი ფქვილისგან მომზადებულ პურზე გადაუსვით _ არაჩვეულებრივ სენდვიჩს მიიღებთ!

კვერცხი და შესაბამისად ომლეტი ამ სიაში საპატიო ადგილზეა. კვერცხი ძალიან სასარგებლო და საჭირო პროდუქტია. მასში შემავალი ცილა ორგანიზმს დილიდანვე ენერგიით ავსებს. სცადეთ ომლეტი მწვანილებით, ყველით, ბოსტნეულით _ ასე სარგებელსაც გააორმაგებთ და გემოსაც.

ბუტერბროდები. დიახ, არ მოგესმათ, ნამდვილად ასეა! მაგრამ უბრალოდ ბუტერბროდები არა, რა თქმა უნდა. უმჯობესია ბუტერბროდისთვის სრულმარცვლიანი ფქვილისგან გამომცხვარი პური გამოვიყენოთ, ქორფა, ხრაშუნა სალათის ფოთლებით, ქათმის ხორცით, სხვადასხვა ბოსტნეულით, ყველით, ხაჭოთი და ა. შ. ასეთი საუზმე სასარგებლოსთან ერთად კარგადაც ანაყრებს და ენერგია სადილამდე ნამდვილად გაგყვებათ.

სალათები _ ასევე კარგი დასაწყისია! მაგრამ აქ ცხიმიანი მაიონეზით გაჯერებული სალათი არ იგულისხმება. მოამზადეთ ახალი ხილის ან ბოსტნეულის სალათები. საუზმეზე ხილს შეგიძლიათ მოასხათ კეფირი, თხელი თაფლი, ლიმონის წვენი, ბოსტნეულს ცოტაოდენი საქონლის ან ქათმის ხორცი დაამატეთ, შეაზავეთ ზეითუნის ზეთით, ნატურალური იოგურტით, კეფირით...



სიმღერ-სიმღერ მოვიარე
მთანი, ბარი, მდელონი,
მოსალოცად ჩამოვიდა
თავად ალენ დელონი.

18 თებერვალს, ოთხშაბათს, 17 საათზე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით გაიმართება სამტრედიელებისათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი კომპოზიტორისა და მუსიკოსის, ნონა ჭახნაკიას მხარდასაჭერი კონცერტი. მასში მონაწილეობას მიიღებენ სამტრედიის შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ვულოცავთ!

ბატონ კობა ძიძიგურს!
ბატონ ბეჟან გეგეშიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალი გფარავდეთ!

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონ კობა ძიძიგურს!
ბატონ ბეჟან გეგეშიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

''სამტრედიის მაცნე''

ზურაბ ზაქარიაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. არაერთი წარმატება მოგველოცოს ბედნიერი ოჯახის უფროსისა და ღირსეული პიროვნებისთვის, სამშობლოს სახელის შორს გამტანი ვაჟკაცის მამისთვის. გაიხარეთ, უფალი გფარავდეთ!

''სამტრედიის მაცნე''

გია მეიშვილს!

კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს უღალატო მეგობარს. გამრავლდი და გაიხარე შენს თბილ ოჯახთან ერთად. კაცურკაცობა და მოყვასის ერთგულება უცხო არასდროს ყოფილა შენთვის და მიგეღოს გაცემული სიყვარული სიყვარულის წილ. გვეიმედები მეგობრებს. ბევრი ბედნიერი და ღიმილიანი წელი მოგველოცოს.

ამირან პაპავა ოჯახით

სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ მომავალშიც არ მოჰკლებოდეს წარმატებები საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. კვლავ დიდხანს გვენახოთ ხელმძღვანელ პოზიციაზე, რომელსაც ასე სასახელოდ ართმევთ თავს!

''სამტრედიის მაცნე''

ზაზა (შოთა) ბანძავას!

გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

მეგობრები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა